



პუბლიკაცია მომზადდა ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების
სააგენტოს მიერ განსახილველად Deloitte Consulting LLP-ის მიერ .
პუბლიკაციაში გამოსატული ავტორთა შეხედულებები შეიძლება
არ დაემთხვეს ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
ან ა.შ.შ-ს მთავრობის პოზიციას .

ბიზნესის განწყობის კვლევა საქართველოს წიაღისეულის სექტორში

არაოფიციალური თარგმანი

USAID მმართველობა განვითარებისათვის **G4G**



ბიზნესის განწყობის კვლევა

საქართველოს წიაღის სექტორში

საბოლოო ანგარიში

USAID მმართველობა განვითარებისათვის G4G

ხელშეკრულების ნომერი: AID-114-C-14-00007

DELOITTE CONSULTING LLP

USAID | საქართველო

USAID-ის საკონტრაქტო ოფიცერი: ფილიპ გრინი

ავტორი: PMO BUSINESS CONSULTING

წიაღის სექტორის რეფორმა

ენა: ქართული

გამოქვეყნების თარიღი: 12 თებერვალი 2019

შენიშვნა:

პუბლიკაცია მომზადდა ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ განსახილველად DELOITTE CONSULTING LLP-ის მიერ . პუბლიკაციაში გამოხატული ავტორთა შეხედულებები შეიძლება არ დაემთხვეს ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ა.შ.შ-ს მთავრობის პოზიციას.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

მონაცემი

მიმომხილველები: ირაკლი გელოვანი, თამარ ბუაძე, ნინო ჩოხელი, მაიკლ მარტლი

პროექტის კომპონენტი: საქართველოს მთავრობის (GOG) ქმედუნარიანობის გაძლიერება

საქმიანობის სფერო: წიაღის სექტორი

საძიებო სიტყვები: წიაღის სექტორი, სამთო მოპოვება, ბიზნესის განწყობის კვლევა, რეფორმები





რეზიუმე

აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილია ბიზნესის განწყობის კვლევის შედეგები საქართველოს წიაღისეულ სექტორში. კვლევა მომზადდა PMO Business Consulting-ის ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) პროექტის- „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G)-ფარგლებში. კვლევა მომზადდა 2018 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში. კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა წიაღის სექტორში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს წიაღის სექტორში არსებული გამოწვევებისა და სექტორში არსებული რეგულირების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად საჭირო მიმართულებების გამოვლენა. კვლევის შედეგების საფუძველზე საქართველოს მთავრობისთვის მომზადდა რეკომენდაციები წიაღისეულ სექტორში მიმზიდველი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებისა და ინვესტიციების მოსაზიდად.



აბრევიატურები

EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
FDI	უცხოური პირდაპირი ინვესტიცია
G4G	მმართველობა განვითარებისათვის საქართველოში
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
GEOSTAT	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GKZ	რუსეთის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო კომისიის მიერ დადგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შეფასების სისტემა
GoG	საქართველოს მთავრობა
ჰა	ჰექტარი
JORC	მადანთა მარაგების გაერთიანებული კომიტეტის მიერ დადგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შეფასების სისტემა
JSCE	სააქციო საზოგადოება
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MoESD	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
NAM	წიაღის ეროვნული სააგენტო
NAPR	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
RIA	რეგულირების გავლენის შეფასება
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
USD	ამერიკული დოლარი
WB	მსოფლიო ბანკი



სარჩევი

მონაცემი	7
რეზიუმე	8
აბრევიატურები	9
1. 9	
1.1 9	
1.2 წიაღის სექტორში მოქმედი ადგილობრივი კომპანიების კვლევის მორითა დიმიგნებები	13
2. 16	
3. 18	
3.1 19	
3.2 24	
4. 27	
4.1 28	
4.2 36	
4.3 54	
5. Error! Bookmark not defined.	
6. Error! Bookmark not defined.	



1. შემაჯამებელი მიმოხილვა

წიაღისეულის სექტორში ბიზნესის განწყობის კვლევა მომზადდა 2018 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს წიაღისეულ სექტორში არსებული გამოწვევების დადგენა და საქართველოს მთავრობისთვის რეკომენდაციების მომზადება. კვლევის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციები გამოყენებული იქნება როგორც გზამკვლევი წიაღისეულის სექტორის რეფორმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა წიაღისეულის სექტორში მოქმედი როგორც ადგილობრივი კომპანიები ასევე საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ პოტენციურ ინვესტორებს საქართველოს წიაღისეულის სექტორისთვის.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 67 ადგილობრივი კომპანიისა და 38 საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენლებმა. თავდაპირველად, გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული იქნა 195 ადგილობრივი კომპანია. ადგილობრივი კომპანიების კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებელმა 34.4% შეადგინა.

ადგილობრივი 128 კომპანიიდან, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე, 18.6 პროცენტმა მიუთითა, რომ არიან დახურულები ან ამჟამად არ ახდენენ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას.

გამოკითხული საერთაშორისო რესპონდენტების უმეტესობა იკავებს მაღალ მმართველობით თანამდებობას დამწყებ, შუალედურ და სტაჟიან წიაღისეულის მომპოვებელ საერთაშორისო კომპანიებში. კვლევის ფარგლებში ასევე გამოკითხული იქნა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიები, რომლებიც ჩართულნი არიან წიაღისეული სექტორის კვლევისა და ანალიზში.

1.1 საერთაშორისო ინვესტორთა კვლევის ძირითადი მიგნებები

საერთაშორისო ინვესტორთა კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ ფაქტორების იდენტიფიკაცია, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე და ამასთანავე, საქართველოს წიაღის სექტორის შესახებ საერთაშორისო ინვესტორების ინფორმირებულობის დონის შეფასება.



საერთაშორისო ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები

ღია, სამართლიანი, გამჭვირვალე და სტაბილური მარეგულირებელი სისტემა საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე მოქმედ ფაქტორებს შორის პირველ ადგილზე დგას. პოლიტიკური სტაბილურობა, სტაბილური საგადასახადო განაკვეთები, თანმიმდევრული და სანდო რეგულაციები სექტორში წარმოადგენს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას პირველ რიგში ფასდება.

საერთაშორისო რესპოდენტების მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე მოქმედ მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის დასახელდა:

გამჭვირვალე და გასაგები სალიცენზიო პროცედურები, ლიცენზიის გაცემის პროცესში დაყოვნებებისა და მაღალი წინასწარი გადასახადების არარსებობა.

სალიცენზიო პირობების დაცვა, რომელიც ითვალისწინებს ყველა მონაწილე მხარის, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და ასევე ხელს უწყობს საბაღოს ათვისების პროცესს.

ქვეყნის გეოლოგიური პოტენციალისა და მინერალური რეზერვების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

უსაფრთხო გარემო.

სტაბილური საგადასახადო გარემო, გადასახადების განაკვეთების ხშირი და უსამართლო ცვლილებების გარეშე. რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლების (როიალტის) ზომიერი განაკვეთი, რომელიც პროპორციულად იქნება მიმზღული რესურსების ფაქტობრივ სარგებლობასთან.

კვალიფიციური კადრების ხელმისაწვდომობა.

ხელმისაწვდომობა ისეთ ძირითად საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაზე, როგორცაა გზები, ელექტროენერჯია და წყალი.

უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის კუთხით საერთაშორისო ინვესტორები აცნობიერებენ საკუთარ კორპორატიულ პასუხისმგებლობას უზრუნველყონ გარემოსდაცვითი ღონისძიებები, საბაღოს დამუშავების თითოეულ ეტაპზე და შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ გარემოზე მიყენებული ზიანის აღდგენა. საერთაშორისო რესპოდენტთა 50 პროცენტმა განაცხადა, რომ წიაღისეულის სექტორში გარემოს დაცვითი საკითხების მარეგულირებელი მოთხოვნები არ აფერხებს ინვესტიციებს. ამასთანავე, რესპოდენტთა 42% თვლის, რომ სექტორში ეფექტური



გარემოსდაცვითი რეგულაციების არსებობამ შესაძლოა დადებითად იმოქმედოს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებს აქვთ მსგავსი აღქმა და პრიორიტეტები წიაღისეულის სექტორის ეფექტური რეგულირების პრაქტიკასთან მიმართებაში.

საერთაშორისო ინვესტორთა ინფორმირებულობის დონე საქართველოს წიაღის სექტორის შესახებ

საქართველოსა და ქვეყნის წიაღისეულის სექტორის ცნობადობა საერთაშორისო ინვესტორებს შორის საკმაოდ დაბალია. რესპონდენტთა უმეტესობა არ ფლობს ან გააჩნიათ მწირი და მოძველებული ინფორმაცია საქართველოს შესახებ. საერთაშორისო რესპონდენტები, რომლებმაც განაცხადეს რომ სმენიათ საქართველოს შესახებ, მეტწილად ფლობენ მოძველებულ ინფორმაციას. საერთაშორისო რესპონდენტები არ არიან ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების თაობაზე და საქართველო მიაჩნიათ ისეთ ქვეყანად, სადაც დგას კორუფციის, ბიუროკრატიისა და სახელმწიფოს მიერ ბიზნესის საქმიანობაში ჩარევის მწვავე პრობლემები. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ცხადია, რომ საჭიროა საერთაშორისო ინვესტორებთან ძლიერი საკომუნიკაციო სტრატეგიის მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს წიაღისეულის სექტორის პოპულარიზაციას და პოტენციური ინვესტორების დაინტერესებას.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე საერთაშორისო რესპონდენტის აზრით, საქართველო, მისი გეოლოგიური პროფილისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა ფლობდეს საინტერესო მინერალური რეზერვების საბადოებს, რომელიც ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი. შესაბამისად, ძლიერი საკომუნიკაციო კამპანიის საშუალებით შესაძლოა საქართველო გახდეს ინვესტორებისთვის საინტერესო ადგილი სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიების პროექტების განსახორციელებლად.



1.2 წიაღის სექტორში მოქმედი ადგილობრივი კომპანიების კვლევის ძირითადი მიგნებები

ქვეყანაში არსებული ზოგადი ბიზნეს გარემო ადგილობრივ რესპონდენტთა მიერ პოზიტიურად შეფასდა. გამოკითხულთა 92%-მა სტაბილურობის თვალსაზრისით არსებული პოლიტიკური გარემო პოზიტიურად შეაფასა. ამასთანავე, უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული ბიზნეს გარემო დადებითად შეფასდა გამოკითხულთა 90%-ის მიერ. ადგილობრივი კომპანიების განცხადებით საბადოს ტერიტორია დაცულია და არ არსებობს კრიმინალური შემთხვევებისა და კონფლიქტების რისკები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივ კომპანიებს აქვთ დადებითი დამოკიდებულება და ნდობა მარეგულირებელი სისტემისა და სექტორში მომუშავე სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. გამოკითხულთა 59% მიიჩნევს, რომ სექტორის ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩო გამჭვირვალეა. საგულისხმოა, რომ ადგილობრივი კომპანიების მხრიდან არ იყო ნახსენები სიტყვა „კორუფცია“. ამასთანავე, ადგილობრივი კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სექტორში კორუფციული გარიგებების შემთხვევები არ ჰქონიათ.

ადგილობრივი კომპანიების მიერ დადებითად შეფასდა შემდეგი სფეროები:

ადგილობრივ კომპანიათა 70%-ი მიიჩნევს, რომ ლიცენზიის გაცემის აუქციონის სისტემა სამართლიანი და გამჭვირვალეა.

გამოკითხულთა 64%-მა ხაზი გაუსვა, რომ ძირითადი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ხარისხი და მასთან წვდომა მისაღებია. კომპანიების განცხადებით, საბადოზე საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე პროექტის საწყისი ინვესტიციის 20-30% იხარჯება. ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯი დამოკიდებულია საბადოს ტიპზე, ადგილმდებარეობასა და ადგილობრივ პირობებზე. კომპანიები თანხმდებიან, რომ რესურსის მოპოვების არეალში ინფრასტრუქტურის განვითარება კერძო სექტორის პასუხისმგებლობაა. თუმცა, ასევე აღნიშნავენ, რომ ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო დამატებითი ნებართვების მიღება ხშირად დროში იწელება (მაგ. გზის მშენებლობის ნებართვა) რაც აფერხებს პროექტის განვითარების პროცესს.



მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული დავები უკანასკნელ წლებში სულ უფრო იშვიათად წარმოიქმნება. გამოკითხულთა 72%-ს უკანასკნელ წლებში მიწის საკუთრებას ან სხვა საკითხთან დაკავშირებული მიმდინარე დავა არ ჰქონია. თუმცა, იმ კომპანიებმა, რომელთაც აქვთ ან ჰქონიათ დავები, აღნიშნეს, რომ დავების გადაწყვეტის პროცესი დროში იწელება და ხშირად წლების განმავლობაში გრძელდება.

წიაღით სარგებლობის მოსაკრებლის გაანგარიშების არსებული სისტემა და გეოლოგიური ინფორმაციის ნაკლებობა ადგილობრივი კომპანიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. არსებული კანონმდებლობს მიხედვით, წიაღის მომპოვებელმა კომპანიებმა უნდა გადაიხადონ რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი (როიალტი). არსებული პრაქტიკით, მოსაკრებელი ითვლება წინასწარ დამტკიცებული მინერალური რეზერვების ათვისების გეგმის საფუძველზე. ათვისების გეგმა განსაზღვრავს თუ რა მოცულობის რესურსი უნდა იქნას ყოველწლიურად მოპოვებული კომპანიის მიერ. თუ წლის ბოლო კომპანიის მიერ ფაქტიურად ათვისებული რესურსი ნაკლებია გეგმით განსაზღვრულ მოცულობაზე, მოსაკრებელი ითვლება გეგმით განსაზღვრული ოდენობის მიხედვით, ხოლო თუ ფაქტობრივი მოპოვება დაგეგმილს აჭარბებს მოსაკრებელი ამ შემთხვევაში ფაქტობრივად მოპოვებულ რაოდენობაზე ირიცხება. ადგილობრივი კომპანიების 95% მოსაკრებლის გაანგარიშების არსებულ წესს უსამართლოდ მიიჩნევს და თვლის, რომ მოსაკრებლის დათვლა უნდა მოხდეს ფაქტიურად მოპოვებული რესურსის მიხედვით და არა ათვისების გეგმით გათვალისწინებულ მოცულობაზე.

გეოლოგიურ მონაცემებთან დაკავშირებით ადგილობრივი კომპანიები აღნიშნავენ, რომ წიაღის ეროვნულ სააგენტოში არსებული გეოლოგიური ანგარიშები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. თუმცა, პრობლემური საკითხია ის, რომ გეოლოგიური ანგარიშები შეიცავს მოძველებულ ინფორმაციას და არასანდოა. შესაბამისად, მხოლოდ ანგარიშის მონაცემებზე დაყრდნობა რისკებთან არის დაკავშირებული. ადგილობრივი კომპანიათა უმეტესობა არ ენდობა არსებულ ანგარიშებს და დამატებით თავად ახორციელებენ საბადოს შესწავლას.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა გეოლოგიური მონაცემების ახალი, ცენტრალიზებული ელექტრონული საძიებო სისტემის საჭიროება, რომელიც გაამარტივებს გეოლოგიური მონაცემების ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ სექტორში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტია. გამოკითხულთა 80%-მა აღნიშნა, რომ აქვთ სირთულეები კვალიფიციური



კადრების მოძიებასთან დაკავშირებით. დარჩენილი 20%-ის განცხადებით, კვალიფიციური კადრების პრობლემა მათ წინაშე არ დგას, რადგან საჭირო უნარების მქონე პერსონალის მოძიების საკითხი, ძირითადად ხანდაზმული, ხშირ შემთხვევაში პენსიაზე გასული გეოლოგებისა და უცხოეთიდან ჩამოყვანილი კადრების საშუალებით მოაგვარეს. რესპონდენტების გამოკითხვამ გამოავლინა, რომ შრომით ბაზარზე, ახალგაზრდა თაობაში აღნიშნება კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი.

კადრების დეფიციტის მიუხედავად, ადგილობრივი კომპანიები თვლიან, რომ სამუშაოზე აყვანისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივ მოსახლეობას. კანონმდებლობის ფარგლებში კომპანიებისთვის ადგილობრივი კადრების დაქირავების ვალდებულების დაკისრება წიაღისეულის სექტორში მიღებულ პრაქტიკას წარმოადენს. კვალიფიციური კადრების ნაკლებობის პირობებში შესაძლებელია, რომ უცხოური კომპანიების მიერ მოხდეს საკუთარი თანამემამულეების დაქირავება. სხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ წიაღის მომპოვებელი კომპანიების მიერ უცხოური კადრების დაქირავების პრაქტიკამ შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირება და სოციალური კონფლიქტები. აღნიშნული რისკის გათვალისწინებით, როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო რესპონდენტები არ არიან წინააღმდეგნი აიღონ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ვალდებულება. ადგილობრივი კომპანიები თვლიან, რომ კანონმდებლობით საქართველოს მოქალაქეების დასაქმების ვალდებულების განსაზღვრა მინიმუმ 50-70%-იანი ზღვრის ფარგლებში საფრთხეს არ შექმნის, რადგან ადგილობრივ კადრებს უკვე საკმაოდ მაღალი წილი უჭირავთ კომპანიაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიების გაცემის აუქციონის წესი სამართლიანად და გამჭვირვალედ შეფასდა, ადგილობრივი კომპანიები აცხადებენ რომ ლიცენზიის მოპოვებასთან დაკავშირებული პირველადი დანახარჯები საკმაოდ მაღალია. აღნიშნული საკითხი პრობლემად დასახელდა გამოკითხულთა 61.3%-ის მიერ. კერძოდ, საბადოს შესწავლის შედეგად დაძიებული რეზერვების დამტკიცების შემდეგ მინერალური რესურსის მოპოვების უფლების მისაღებად კომპანიებს საკმაოდ მაღალი ერთჯერადი საფასურის გადახდა უწევთ. დამატებით, საგადასახადო ტვირთს ზრდის მოსაკრებლის დაანგარიშების არსებული პრაქტიკაც. ადგილობრივი კომპანიები მიიჩნევენ, რომ უნდა მოხდეს ფისკალური ტვირთის ოპტიმალური გადანაწილება პროექტის საწყისი ეტაპიდან განვითარების მომდევნო ეტაპებზე, როდესაც მოხდება შემოსავლების მიღება. აღნიშნული მიდგომა მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკაში და პოზიტიურად არის შეფასებული საერთაშორისო რესპონდენტების მიერ.



ბიუროკრატიული საკითხები ძირითადად აყოვნებს ლიცენზიის გაცემის წესს და მინერალური რეზერვების დამტკიცების პროცესს, რაც გამოკითხულთა 52.5 %-მა პრობლემად შეაფასა. თუმცა, ასევე საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა წიაღის ეროვნული სააგენტოს გაუმჯობესებელი მუშაობა და ბიუროკრატიული შეფერხებების შემცირება უკანასკნელ წლებში.

ლიცენზიის პასიური ფლობა, მინერალური რესურსებით სარგებლობის გარეშე და ლიცენზიებით სპეკულაციური ვაჭრობა საქართველოს წიაღისეულის სექტორში კვლავ გამოწვევად რჩება. გამოკითხულთა 60% თვლის, რომ კვლავ არის შემთხვევები, როდესაც ლიცენზიანტები შეგნებულად არ ახდენენ საბადოს დამუშავებას და წიაღით სარგებლობის ლიცენზიას ინარჩუნებენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ შემდგომში სარფიანად მოახდინონ ლიცენზიის გადაყიდვა.

ადგილობრივ კომპანიებს საერთო შეხედულებები აქვთ გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში. ისინი თანხმდებიან, რომ გარემოსდაცვითი რეგულაციები და მოთხოვნები წიაღისეულის სექტორის მარეგულირებელი ჩარჩოს მნიშვნელოვან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

ქვემოთ ჩამოთვლილია კვლევის ძირითადი მიგნებები:

მიუხედავად მცირე ცვლილებებისა, წიაღისეულის სექტორის არსებული მარეგულირებელი ჩარჩო მოძველებულია და დაფუძნებულია საბჭოურ პრაქტიკაზე, რომელიც არ წარმოადგენს საუკეთესო რეგულირების მაგალითს. საერთაშორისო ინვესტორების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა ის ძირითადი მიდგომები, რომელთა დანერგვაც ხელს შეუწყობს ინვესტორთა დაინტერესებას და სექტორში ინვესტიციების მოზიდვას.

მნიშვნელოვანია განხორციელდეს მომსახურების მიწოდების „ერთი სარკმლის პრინციპის“ დანერგვა. ამასთანავე, კერძო და საჯარო სექტორს შორის კომუნიკაციას ხელს შეუწყობს სამთო პალატის ჩამოყალიბება, რომელიც გააერთიანებს წიაღის მომპოვებელ კომპანიებს და წარმოადგენს მათ ინტერესებს. ამასთანავე, სამთო პალატამ შესაძლოა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი კვალიფიციური უნარების განვითარებასა და ცოდნის დონის ზრდაში, ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვით.



წიალის ეროვნული სააგენტო ვითარდება და მისი მუშაობა გაუმჯობესებულია, თუმცა სექტორის შემდგომი განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია სააგენტოს საქმიანობაში აქცენტი გაკეთდეს გეოლოგიური მონაცემების ხელმისაწვდომობის გამარტივებაზე, სექტორის პოპულარიზაციასა და ინვესტიციების ხელშემწყობ სერვისებზე.



2. შესავალი

უკანასკნელი წლების განმავლობაში გატარებული რეფორმების შედეგად საქართველოს ბიზნეს გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ქვეყნის პროგრესი განმტკიცებულია არსებულ საერთაშორისო რეიტინგში პოზიციის გაუმჯობესებით. მსოფლიო ბანკის 2019 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო, ბიზნესის კეთების სიმარტივით, 189 ქვეყანას შორის მეექვსე ადგილს იკავებს.

ზოგადი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველოს წიაღისეული სექტორის მარეგულირებელი ჩარჩო ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება საუკეთესო საერთაშორისო რეგულირების პრაქტიკას. დამატებითი ნაბიჯებია საჭირო, რათა ხელი შეეწყოს დარგის განვითარებასა და საერთაშორისო ინვესტორთა დაინტერესებას ქვეყნის წიაღისეულის ინდუსტრიით.

დღესდღეობით, წიაღისეულის სექტორი საქართველოს ეკონომიკაში უმნიშვნელო წილს იკავებს. 2017 წელს წიაღისეულის სექტორში შექმნილმა გამოშვებამ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 1% შეადგინა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ წიაღისეულის სექტორის პროდუქტები საქართველოს ექსპორტის ერთ-ერთ უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფს წარმოადგენს და შესაბამისად სამთო-მოპოვებითი საქმიანობა კვლავ რჩება ქვეყნის ეკონომიკისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად.

გეოლოგიური პროფილიდან გამომდინარე საქართველოს აქვს პოტენციური დაინტერესოს პოტენციური ინვესტორები, რომლებიც მზად არიან განახორციელონ პროექტები ახალი საბადოებისა და რესურსების აღმოსაჩენად. აღნიშნულ აზრს იზიარებენ ადგილობრივი და საერთაშორისო რესპონდენტებიც, რომლებსაც აქვთ რთულ გეოლოგიურ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება. თუმცა, ჯერჯერობით, საქართველოს გეოლოგიური პოტენციალის შესახებ საერთაშორისო ინვესტორების ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია.

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს წიაღისეულის სექტორში არსებული რეგულირების პრაქტიკასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და სხვა პრაქტიკული ბარიერების შესწავლა, რომელიც აფერხებს სექტორის განვითარებას. ამასთანავე, კვლევის ფარგლებში, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მომზადდა რეკომენდაციები სექტორში არსებული გამოწვევების დასაძლევად. კვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები გამოყენებული იქნება როგორც გზამკვლევი წიაღისეულის სექტორის განვითარების



სტრატეგიის შესამუშავებლად. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ის სფეროები, რომლის გაძლიერებაც არის საჭირო საერთაშორისო დონორებისა და მთავრობის დახმარებით.

კვლევა მომზადდა PMO Business Consulting-ის მიერ, კვლევის მომზადების პროცესში ჩართული იყო G4G-ის მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტი კირკ ადამსი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევის დაგეგმვასა და მეთოდოლოგიის შემუშავებაში. G4G თანამშრომლობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), რომელიც კვლევის ძირითად მიგნებებს გამოიყენებს წიაღის სექტორის განვითარების პროგრამის მოსამზადებლად.



3. მეთოდოლოგია

ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, PMO Business Consulting-ის მიერ შემუშავდა კომპლექსური კვლევის მეთოდოლოგია წიაღისეულის სექტორში არსებული გამოწვევებისა და განვითარების პერსპექტივების გამოსავლენად. კვლევის ფარგლებში ჩატარდა წიაღისეულის სექტორში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების გამოკითხვა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების საშუალებით. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს წიაღისეულის სექტორში რეგულირების არსებულ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაცია და გამოწვევების შეფასება .

გამოკითხვის ფარგლებში მოხდა ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების შერჩევა. ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიებისთვის შემუშავდა განსხვავებული კითხვარები. შერჩეული კითხვები მოიცავდა ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც გავლენას ახდენს წიაღისეულის სექტორის ბიზნეს გარემოს ფორმირებაზე.

ადგილობრივი კომპანიების გამოკითხვა მოხდა პერსონალური ინტერვიუს საშუალებით, ხოლო საერთაშორისო კომპანიების გამოკითხვა მოხდა ელექტრონული კითხვარების მეშვეობით, რომლებიც დაეგზავნათ კომპანიების მენეჯერებს ელექტრონული ფოსტის მისამართებზე. გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების გამოკითხვა მოხდა ონლაინ-გამოკითხვის პლატფორმის მეშვეობით.

3.1 საერთაშორისო ინვესტორთა გამოკითხვა

საერთაშორისო ინვესტორთა გამოკითხვის მთავარი მიზანი მდგომარეობდა იმ ფაქტორების გამოვლენაში, რომლებიც გავლენას ახდენენ წიაღისეულ სექტორში საერთაშორისო ინვესტიციებზე. ამასთანავე, კვლევის მიზნებს შორის იყო საქართველოს წიაღისეულ სექტორში საერთაშორისო ინვესტიციების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა.

საერთაშორისო ინვესტორებთან დასაკავშირებლად, პროექტის ფარგლებში შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავდა წიაღისეულის სექტორში მოქმედი საერთაშორისო კომპანიების საკონტაქტო ინფორმაციასა და საქმიანობის სფეროს. მონაცემთა შეგროვება მოხდა ონლაინ საძიებო მეთოდების გამოყენებით. საერთაშორისო კომპანიები დაჯგუფდა დამწყებ, შუალედურ და სტაჟიან კომპანიებად.



საერთაშორისო ინვესტორების მონაცემთა ბაზის შექმნის შემდეგ შემუშავდა კითხვარები, რომლებიც დაიგზავნა კომპანიების წარმომადგენელთა ელექტრონულ მისამართებზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მცირე ზომის ბაზარია და ადგილობრივი წიაღის სექტორიც განვითარების ეტაპზე იმყოფება, მოსალოდნელი იყო, რომ საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან კვლევის მიმართ ინტერესი იქნებოდა დაბალი. ეფექტური უკუკავშირის მისაღებად კითხვარები დაეგზავნა მონაცემთა ბაზაში არსებულ ყველა კომპანიას. დამატებით პროექტში ჩართულმა საერთაშორისო ექსპერტმა გამოიყენა პირადი კონტაქტები და კითხვარები გაუზიარა წიაღისეულის სექტორით დაინტერესებულ ინვესტორებს.

საქართველოს წიაღისეულის სექტორის დაბალი საერთაშორისო ცნობადობის ფონზე, კითხვარები შემუშავდა ისე, რომ მომხდარიყო საერთაშორისო ინვესტორთა პრიორიტეტების შეფასება. გამოკითხვის ფარგლებში გამოვლინდა ფაქტორები, რომლებიც ქმნიან მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს გლობალური წიაღისეულის ინდუსტრიის თვალსაზრისით.

გამოკითხვის შედეგად, საერთაშორისო რესპონდენტებმა პრიორიტეტების მიხედვით დააღაგეს საუკეთესო პრაქტიკით განსაზღვრული რეგულირების პრინციპები. შედეგების საფუძველზე, მოხდა თითოეული პრინციპის გავლენის შეფასება საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. შეგროვებული პასუხები დახარისხდა 5 ბალიან შკალაზე, სადაც 5 აღნიშნავდა „ახალისებს ინვესტიციას“, ხოლო 1 ნიშნავდა „არანაირი გავლენა ინვესტიციაზე“. თითოეული კატეგორიისათვის დაანგარიშდა საშუალო ქულა და მოხდა პასუხების პრიორიტეტებად დალაგება ყველაზე მნიშვნელოვანიდან ნაკლებ მნიშვნელოვანამდე.

საერთაშორისო რესპონდენტების კითხვარი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

საქართველოს წიაღისეულის სექტორში პოტენციური ინვესტიციების შემაფერხებელი ფაქტორები

ქართულ წიაღისეულ სექტორში ინვესტირების ინტერესის შესაძლო სიმცირის მიზეზები

საქართველოს წიაღისეულის სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობის ასამაღლებლად საჭირო ღონისძიებები

საერთაშორისო ინვესტორებმა არ გამოხატეს დიდი ინტერესი კვლევისადმი. თავდაპირველად კითხვარების დაგზავნა საერთაშორისო რესპონდენტებთან მოხდა ონლაინ კვლევის პლატფორმის საშუალებით, თუმცა ონლაინ კვლევის პლატფორმამ ვერ მოახერხა საკმარისი პასუხების შეგროვება. გამომდინარე იქიდან, რომ ინვესტორთა უმეტესობა არ იცნობდა



საქართველოს, ნაკლები იყო ალბათობა იმისა, რომ ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ამგვარი კომუნიკაციის არხით.

მეორე ეტაპზე გამოყენებულ იქნა განსხვავებული კომუნიკაციის სტრატეგია. საერთაშორისო კომპანიებთან დაკავშირება მოხერხდა შემდეგი არხების საშუალებით:

საერთაშორისო კომპანიების პირად ელექტრონულ მისამართებზე გაგზავნილ იქნა წერილი, სადაც იყო წარდგენილი საქართველოს პროფილი და პროექტის მიზანი. კითხვარის საშუალებით, ინვესტორებისთვის მოხდა საქართველოს ბიზნეს გარემოს შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ამასთანავე, ხაზი გაესვა ქვეყნის პოზიციას მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივის“ ინდექსის რეიტინგში. კითხვარში ხაზგასმული იყო მათი მონაწილეობის მნიშვნელობა წიაღისეულის სექტორის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებაში. საქართველოს შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღეს იმ ინვესტორებმა, რომელთანაც ტელეფონით მოხდა დაკავშირება. ინვესტორთა ნაწილი მხოლოდ ტელეფონით დაკავშირების შემდეგ დათანხმდა გამოკითხვაში მონაწილეობას.

პროექტში ჩართულმა საერთაშორისო ექსპერტმა კვლების ჩატარებაში მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეიტანა მის პირად კონტაქტების ქსელში კვლევის ბმულის გავრცელებით.


ამგვარი მიდგომების გამოყენებით, საერთო ჯამში შეგროვდა 38 შევსებული კითხვარი.

რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი საერთაშორისო კომპანიებში მაღალ და საშუალო რანგის მენეჯერულ თანამდებობებს იკავებს. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ასევე კომპანიების უფროსმა ტექნიკურმა პერსონალმა და ანალიტიკოსებმა. ოთხი მათგანის შემთხვევაში, მათ შორის ვინც ელექტრონული ბმულის მეშვეობით შეავსო კითხვარი, პოზიციისა და კომპანიის დადგენა ვერ მოხერხდა. შესაბამისად მათი პოზიცია და კომპანია განუსაზღვრელად იქნა მიჩნეული.

კვლევაში მონაწილე საერთაშორისო კომპანიები ძირითადად საქმიანობენ განვითარებული წიაღისეულის ინდუსტრიის მქონე ქვეყნებში. გამოკითხული საერთაშორისო რესპონდენტების უმეტესობა მუშაობს ისეთი კომპანიებისთვის, რომლებიც მოღვაწეობენ ა.შ.შ-ში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, კანადასა და აფრიკაში.



რესპონდენტთა სია ქვეყნების მიხედვით წარმოდგენილია პირველ გრაფიკში:



-საერთაშორისო კომპანიები დაიყო მათი საინვესტიციო ინტერესის სტადიის მიხედვით:

სტაჟიანი ინვესტორები¹—რესპონდენტთა 26 %

შუალედური ინვესტორები²—რესპონდენტთა 18 %

¹ სტაჟიანი ინვესტორები არიან გამოცდილი წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიები, რომლებიც აქტივების მოზიდვას აქციების გამოშვებით ახდენენ.

² შუალედური ინვესტორები არიან წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიები, რომლებიც ეწევიან წიაღისეულის მოპოვების სამუშაოს და მათი საბაზრო ღირებულება მერყეობს 500 მილიონ ამერიკული დოლარიდან 5 მილიარდ ამერიკულ დოლარამდე.



დამწყები ინვესტორები³—რესპონდენტთა 18 %

კომპანიები, რომლებიც დაკავებულნი არიან საკონსულტაციო ან კვლევითი საქმიანობით წიაღისეულ სექტორში—რესპონდენტთა 11%

საერთაშორისო ინვესტორებთან განხილული საკითხები

მარეგულირებელი ჩარჩოს გამჭვირვალობა და სამართლიანობა

მოთხოვნები გეოლოგიურ ინფორმაციაზე

ლიცენზირების პროცედურები

“გამოიყენე ან დაკარგე” პრინციპი, რათა მოხდეს ლიცენზიის
პასიური ფლობის თავიდან აცილება

გადასახადები და როიალტები

ადგილობრივი კადრების დაჭირვების ვალდებულება

იმისა გათვალისწინებით, რომ გლობალური სტანდარტების მიხედვით, საქართველოში აღმოჩენილი მინერალური რესურსების მარაგების რაოდენობა მცირეა, საქართველოს როგორც საინვესტიციოდ მიმზიდველი ქვეყნით დაინტერესება შეიძლება გამოხატონ დამწყებმა და შუალედურმა ინვესტორებმა. რაც შეეხება დიდ სტაჟიან კომპანიებს, ისინი უმეტესად ორიენტირებულები არიან უკვე არსებული და დამტკიცებული მარაგების ათვისებაზე და ნაკლებად აინტერესებს საბადოს შესწავლის ოპერაციები. მსხვილი კომპანიები საქმიანობის გაფართოებისას უპირატესობას ანიჭებენ სხვა დამწყებ და შუალედური კომპანიებთან შერწყმას, მათ ყიდვას ან მათთან გაერთიანებას.

კვლევის ფარგლებში პასუხების უმეტესობა მიღებული იქნა კომპანიებისგან, რომლებიც კლასიფიცირდებიან როგორც დამწყებ და შუალედური ინვესტორებად. რესპონდენტების ნაწილს, წარმოადგენდნენ კომპანიები, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებენ საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურების გაწევას წიაღისეულის პროექტებთან დაკავშირებით და კარგად არიან ინფორმირებულები ეფექტური მარეგულირებელი

³ დამწყები ინვესტორები არიან მაძიებელი კომპანიები, რომლებიც ეძებენ მინერალურ რეზერვებს მნიშვნელოვანი ოქროს, ვერცხლის, ურანის თუ სხვა ძვირფასი მინერალების დიდი პოტენციალით.



პრაქტიკებისა და ინვესტორთა პრეფერენციების შესახებ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას.

საერთაშორისო ინვესტორთა კითხვარის ერთ-ერთი კომპონენტი იყო რესპონდენტთა მხრიდან იმ ძირითადი რეგულაციების მნიშვნელოვნობის შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. კითხვარმა მოიცვა ის საკითხებიც, რომლებიც განსაზღვრული იყო ადგილობრივი კომპანიებისთვის შედგენილ კითხვარი ასევე იძლეოდა იმის საშუალებას, რომ რესპონდენტს ვრცლად გამოეხატა წერილობით თუ რა მიაჩნდათ მათ ინვესტიციების მთავარ მამოძრავებელ და შემაფერხებელ ფაქტორებად.

საერთაშორისო და ადგილობრივი კომპანიების პასუხების შედარებით მოხდა ინვესტორთა პრიორიტეტების გამოვლენა და ასევე პოტენციური ინვესტორების მოსაზიდად არსებული მთავარი გამოწვევების იდენტიფიცირება. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება წიაღის სექტორში მიმზიდველი ბიზნეს გარემოს ფორმირებისთვის საჭირო პოლიტიკის შესამუშავებლად.

3.2 წიაღისეულის სექტორში მოქმედი ადგილობრივი კომპანიების გამოკითხვა

ადგილობრივ კომპანიებისთვის შედგენილი კითხვარი მოიცავდა უფრო დეტალური შეკითხვებს წიაღის სექტორის არსებული მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სისტემის შესახებ. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა არსებული რეგულირების პრაქტიკის ის ნაკლოვანებები, რომლებიც აბრკოლებს ინვესტიციებსა და წიაღის სექტორის განვითარებას.

ადგილობრივი კომპანიებისთვის კითხვარის შედგენა მოხდა იმგვარად, რომ მომხდარიყო იმ ძირითადი ფაქტორების გამოკვეთა და შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის ფუნქციონირებასა და ბიზნეს გარემოს ფორმირებაზე.

კითხვარი მოიცავდა 12 მნიშვნელოვან საკითხს, რომელთა დაყოფა შეიძლება სამ ჯგუფად:

- ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ ზოგად ბიზნეს გარემოს
- ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ წიაღის სექტორის გარემოს
- გადასახადები და სხვა ფისკალური ხარჯები



ფიგურა 1: ადგილობრივი კომპანიებთან განხილული საკითხების დაჯგუფება



სიღრმისეულ ინტერვიუსთან ერთად, ადგილობრივმა კომპანიებმა ანონიმური კითხვარების საშუალებით არსებული რეგულირების პრაქტიკა შეაფასეს სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ლიცენზიებით სპეკულაციური ვაჭრობის შესაძლებლობების კუთხით.

წიალის სექტორში გაცემული ლიცენზიების შესახებ მონაცემების მიღება მოხდა წიალის ეროვნული სააგენტოდან, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ უწყებას. მიღებული მონაცემების საფუძველზე ლიცენზიები დაიყო ხუთ ჯგუფად მინერალური რესურსების კატეგორიების მიხედვით.

სამშენებლო მასალები—აღნიშნული კატეგორია მოიცავს სამშენებლო რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს, მათ შორის: ქვიშის, კირის, ხრეშის, დეკორატიული ქვების, თიხისა და თაბაშირის საბადოების შესწავლისა და მოპოვების ლიცენზიებს.

წყლის რესურსები—მოიცავს მტკნარი და მინერალური წყლების, ასევე თერმული და სუბ-თერმული წყლების შესწავლისა და მოპოვების ლიცენზიებს.



ქიმიკატები და ინდუსტრიული ნედლეული—აღნიშნული კატეგორია მოიცავს ლიცენზიებს მინერალურ რესურსებზე, რომელთაც მოიპოვებენ ქიმიკატების წარმოებასა და მრეწველობაში გამოყენების მიზნით. ამ კატეგორიაში დაჯგუფებულია ისეთი რესურსები, როგორცაა ბენტონიტი, თიხა და პერლიტი.

მეტალები—აღნიშნული კატეგორია მოიცავს ფერადი და შავი ლითონების შესწავლისა და მოპოვების ლიცენზიებს, როგორცაა ოქრო, სპილენძი, რკინა. აღნიშნული რესურსები ძვირადღირებულ ნედლეულს წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა აღნიშნული რესურსების კატეგორიაზე.

ენერგორესურსები—აღნიშნულ კატეგორიაში შედის ქვანახშირი და მურა ნახშირის შესწავლასა და მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიები. აღნიშნული კატეგორია არ მოიცავს ნავთობისა და გაზის შესწავლა-მოპოვების საქმიანობას, რამდენადაც ნავთობისა და გაზის სფეროები არ წარმოადგენდა კვლევის საგანს.

მიღებული მონაცემები იქნა დამუშავებული და გაფილტრული. ლიცენზიების მონაცემთა დამუშავების შემდეგ, ბაზიდან ამოღებული იქნა ტექნიკური წყლების, კომუნალური წყლების, საირიგაციო და საწარმოო მიზნებით წყლის მოპოვების ლიცენზიები. კვლევის მიზნობრივ სეგმენტში დარჩნენ კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ წყლის მოპოვებას ალკოჰოლური და არა ალკოჰოლური სასმელების წარმოებისთვის, რადგან ისინი მიწისქვეშა წყლების მოპოვებელთა ერთ-ერთ მსხვილ ჯგუფს წარმოადგენენ.

ყველაზე დიდი რაოდენობით ლიცენზიები გაცემულია სამშენებლო და წყლის რესურსების კატეგორიაში. მონაცემთა დამუშავების შემდეგ შეირჩა კვლევის მიზნებისთვის საინტერესო ლიცენზიები, რომლებიც სამშენებლო რესურსებისთვის 600-ს, ხოლო წყლის რესურსებისთვის 150 ლიცენზიას შეადგენდა. ლიცენზიათა მცირე რაოდენობა მოხვდა შემდეგ კატეგორიებში: „ქიმიკატები და სამრეწველო ნედლეული“, „მეტალები“ და „ენერგორესურსები“. აღნიშნული სამი კატეგორიისთვის ლიცენზიათა გადარჩევის ნაცვლად კვლევისთვის შეირჩა უკლებლივ ყველა ლიცენზია.

„წყლის რესურსების“ კატეგორიაში გაცემული იყო დაახლოებით 1900 ლიცენზია. მონაცემთა გაფილტვრის შემდეგ შეირჩა დაახლოებით 150 მათგანი.

„სამშენებლო მასალების“ კატეგორიაში დაახლოებით 900 კომპანია ფლობს 1400-მდე ლიცენზიას. თუმცა კატეგორიაში არსებული კომპანიათა დიდი რაოდენობის გამო მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები (LLC) და სააქციო



საზოგადოებები (JSC) შეირჩა გამოსაკითხად. აღნიშნულ კომპანიათაგან კვლევისათვის შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა 10 პროცენტი (60 კომპანია).

„ქიმიკატები და სამრეწველო ნედლეული“-ს კატეგორიაში მოქმედი 25 ლიცენზიანტიდან ყველა იქნა შერჩეული გამოკითხვისთვის.

„მეტალების“ კატეგორიაში ფუნქციონირებს დაახლოებით 25 კომპანია, რომელთაგან ინტერვიუსთვის ყველა მათგანი შეირჩა.

„ენერგორესურსების“ კატეგორიაში მოხვდა მხოლოდ ორი კომპანია (ნავთობისა და გაზის გამორიცხვით) შპს „საქნახშირი“ და შპს „გეოფერტი“, კვლევისთვის შეირჩა ორივე მათგანი.

საბოლოოდ, გამოკითხვისთვის თავდაპირველი ბაზიდან შეირჩა 157 ადგილობრივი კომპანია, რომელიც მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 1: შერჩეულ ლიცენზიათა რაოდენობა შესაბამისი კატეგორიების მიხედვით

კატეგორია	#	წყლის კატეგორიზაცია	#	მშენებლობის კატეგორიზაცია	#
მშენებლობა	60	სუფთა წყალი	10	ქვიშა & ხრეში	15
ქიმიკატები & მრეწველობა	25	მინერალური წყალი	10	დეკორატიული ქვები	15
მეტალები	25	თერმული წყლები და ბალნეოლოგია	10	შესაღწის რესურსები (თაბაშირი)	10
ენერჯია	2	ალკოჰოლური სასმელები და ლიმონათები	15	თინები	5
წყალი	45			სხვა	15



4. კვლევის მიგნებები

ანგარიშის აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილია საერთაშორისო და ადგილობრივი კომპანიების გამოკითხვის შედეგები და კვლევის ძირითადი მიგნებების დეტალური ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციებით.

წარმოდგენილი მიგნებები და რეკომენდაციები მომზადებულია 67 ადგილობრივი და 38 საერთაშორისო კომპანიის გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. კვლევის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციები წარმოადგენს გზამკვლევს წიაღის სექტორში რეფორმების შესამუშავებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ სააგენტოს წიაღის ინდუსტრიის განვითარებას საერთაშორისო ინვესტიციების სტიმულირებითა და ადგილობრივი კომპანიების გაძლიერების გზით.

4.1 საერთაშორისო ინვესტორთა გამოკითხვის შედეგები

საერთაშორისო ინვესტორთა გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობს წიაღის სექტორში საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვას. ამასთანავე, კვლევის ფარგლებში მოხდა იმ დაბრკოლებების იდენტიფიცირება, რომლებიც აფერხებს სექტორში ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას.

საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას საერთაშორისო ინვესტორები მნიშვნელობას ანიჭებენ შემდეგი პირობების არსებობას:

სამართლიანი და გამჭვირვალე რეგულაციები, სექტორის მარეგულირებელი ჩარჩოს სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში.

რეგულირების სისტემის ეფექტურობა, სტანდარტული და გასაგები სალიცენზიო პროცედურებითა და შეუფერხებელი სერვისების მიწოდებით.

უსაფრთხო გარემო, ქვეყანაში და საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე კონფლიქტების არარსებობა.

ქვეყანაში არსებული ზოგადი ბიზნეს გარემოსა და გეოლოგიური მონაცემების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საკუთრების უფლების დაცვა. გარანტიების არსებობა, რომ საბადოს შესწავლის შედეგად გამოვლენილი მარაგების მოპოვების უფლება დარჩება აღმომჩენ კომპანიას.



გონივრული საგადასახადო ტვირთი და ზომიერი მოსაკრებლები, სტაბილური საგადასახადო პოლიტიკა, გადასახადის განაკვეთების ხშირი და უსამართლო ცვალბადობის გარეშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო რესპონდენტებთან პერსონალური ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა ის დამატებითი ფაქტორები, რომლებიც პოზიტიურ გავლენას ახდენს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, თუმცა ისინი არ იყო განსაზღვრული კითხვარში.

ქვეყანაში უცხოური კომპანიის წარმომადგენლობის დაარსების სიმარტივე

საერთაშორისო გადარიცხვების წარმოება იმ პირობებით, რა პირობებიც არსებობდა კომპანიის ქვეყანაში შემოსვლის დროს.


რისკზე დაფუძნებული მიდგომა გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და პროექტის განვითარების პირობების დამტკიცებისას

ადგილობრივი მუშახელის დასაქმების ვალდებულება და გარემოსდაცვითი მოთხოვნების კანონმდებლობით განსაზღვრა წიაღის სექტორის წამყვანი მარეგულირებელი ჩარჩოს ნაწილს წარმოადგენს. საერთაშორისო ინვესტორები მისაღებად მიიჩნევენ აღნიშნულ მოთხოვნებს და თვლიან, რომ მსგავსი ვალდებულების კანონმდებლობით განსაზღვრა უარყოფითად არ იმოქმედებს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე.

მოსაკრებლებთან დაკავშირებით საერთაშორისო რესპონდენტებს ერთნაირი დამოკიდებულება გააჩნიათ. ისინი თვლიან, რომ რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი უნდა ითვლებოდეს ფაქტობრივად მოპოვებული მოცულობის მიხედვით, ხოლო მოსაკრებლის განაკვეთი უნდა იყოს განსაზღვრული პროცენტი რესურსის საშუალო საბაზრო ფასიდან. საბაზრო ფასი ძირითადად დგინდება საერთაშორისო ბირჟებზე ვაჭრობის შედეგად (მაგ. ლონდონის მეტალის ბირჟა) საშუალო თვიური ფასის გაანგარიშებით. მოსაკრებლის დაანგარიშებისას თვიურად მოპოვებული რესურსის რაოდენობა მრავლდება საშუალო ფასზე, საიდანაც დგინდება გადასახადის რაოდენობა მოსაკრებლის პროცენტული განაკვეთის საფუძველზე. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსაკრებლის დაანგარიშების მეთოდთან მიმართებაში საერთაშორისო ინვესტორთა აზრი ემთხვევა ადგილობრივი კომპანიების პოზიციას.



გრაფიკი 2:საერთაშორისო ინვესტორთა პრიორიტეტები საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას



გასაგები და გამჭვირვალე რეგულირების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ მიდგომას ბაზრის ყველა მონაწილისადმი არის ის ფუნდამენტური პრინციპი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს სექტორის რეფორმა. ინვესტორთა თითქმის 95% აღნიშნავს გამჭვირვალე და სამართლიან რეგულირებას, როგორც საბაზისო ფაქტორს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას.


მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს წიაღით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის ეფექტური სისტემა წარმოადგენს. საერთაშორისო რესპონდენტთა 84%-ის განცხადებით, ლიცენზირების გამჭვირვალე პროცედურები, სერვისების ეფექტური მიწოდება და ლიცენზიების დროულად გაცემა მნიშვნელოვანი ფაქტორია სექტორში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად.

საკადასტრო და გეოლოგიურ მონაცემებთან წვდომა, მინერალური რეზერვების ხარისხი და მოცულობა ინვესტირების წამახალისებელ ფაქტორებს შორისაა. საერთაშორისო ინვესტორთა 73% თვლის, რომ გეოლოგიური და კადასტრული მონაცემების ხელმისაწვდომობა წამახალისებს



ინვესტიციებს, თუმცა 24%-ის აზრით აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ინვესტიციებზე გავლენას არ ახდენს.

გრაფიკი 3: გეოლოგიური და საკადასტრო მონაცემების ხელმისაწვდომობა



გეოლოგიურ ინფორმაციას მაღალი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო პროექტების შერჩევას. საქართველოში არსებული გეოლოგიური ანგარიშები ამ ეტაპზე მხოლოდ რუსულ და ქართულ ენაზეა შედგენილი. შესაბამისად, უცხოელი ინვესტორებისთვის რთულია იმის შეფასება თუ რამდენად ღირებული ინფორმაციას შეიცავს ანგარიშები მათი პროექტის მიზნებისთვის.

კითხვარის ფარგლებში, საერთაშორისო რესპონდენტებს შეეძლოთ დამატებითი ფაქტორების მითითება, რომელსაც ითვალისწინებენ წიაღის სექტორში საინვესტიციო პროექტის შერჩევას. ჯამურად 38 გამოკითხულიდან 23-მა ჩამოთვალა დამატებითი ფაქტორები, ჯამში დასახელდა 78 ფაქტორი, რომელიც საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე მოქმედებს.

ინვესტიციების შემაფერხებელ ფაქტორებს შორის დასახელდა:

- ზოგადი ბიზნეს გარემოს არასტაბილურობა
- კონფლიქტების რისკი
- კორუფცია



ხშირი და უსამართლო გადასახადების ზრდა

დროში გაწეული პროცედურები ლიცენზიების და ნებართვების მისაღწევად

შეზღუდული წვდომა ინფრასტრუქტურაზე

ადგილობრივი მოსახლეობის უარყოფითი განწყობა და შესაძლო კონფლიქტი საფრთხე

ზემოთ ხსენებული ინვესტიციების დამაბრკოლებელი ფაქტორები ინვესტიციების წამახალისებელი ფაქტორების საპირისპირო ასახვას წარმოადგენს. საერთაშორისო რესპონდენტების მიერ ჩამოთვლილ ინვესტიციების ხელშემწყობი ფაქტორებს შორის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად დასახელებულ პირობას კვალიფიციური კადრების ხელმისაწვდომობა წარმოადგენდა. სახელმწიფოს ჩართულობა ადგილობრივ ბაზარზე კვალიფიციური კადრების განვითარებისთვის ინვესტიციებისთვის პოზიტიურ სიგნალს წარმოადგენს და აღიქმება, როგორც სახელმწიფოს მხარდაჭერა მრეწველობის განვითარებისთვის.

**ამონარიდი საქართველოში მოღვაწე
საერთაშორისო ინვესტორის
ინტერვიუდან:**

“ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა რეგულაციების მექანიზმებში კი არ მდგომარეობს, არამედ დეილობრივი ნოუჰაუს მოძებნაში; როგორც ჩანს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წიაღისეულის ინდუსტრია გაჩერდა. დარგში ჩვენ ვერ ვპოულობთ საკმარისად ძლიერ ექსპერტებს. როგორც ჩანს საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს გააჩნდა მოწინავე როლი წიაღისეულსექტორში და ქვეყანაში წიაღისეულის სფეროში განათლებაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. საქართველოს ყავდა კარგი გეოლოგები და ინჟინრები, თუმცა დღეს დღეობით რთულია ახალი პროფესიონალები მოძიება, რომლებიც ახლა უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინდუსტრიაში.”

კვალიფიციური კადრების სიმცირე ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა როგორც ადგილობრივი, ასევე საქართველოში მოღვაწე უცხოელი ინვესტიციების მიერ. გამოკითხვისას აღნიშნული იქნა, რომ რთულია დარგში ისეთი კვალიფიციური ექსპერტის მოძიება, რომლებიც შეძლებენ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების დასაბუთებას შესაბამისი დოკუმენტების საშუალებით. მრეწველობის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობა,

რათა მოხდეს ინვესტირება დარგში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების აღსაზრდელად.



საქართველოს დღესდღეობით ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა აღზარდოს ახალგაზრდა გეოლოგები და ინჟინრები. ქვეყანას ჯერ კიდევ ჰყავს ძველი გამოცდილი გეოლოგები, რომელთაც განათლება საბჭოთა კავშირის პერიოდში მიიღეს. შესაძლებელია, მოხდეს მათი ცოდნისა და გამოცდილების გადაცემა დარგში ახალგაზრდა პროფესიონალების მოსამზადებლად.

სტაბილური საგადასახადო სისტემა და სამართლიანი გადასახადების განაკვეთები მნიშვნელოვანია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოსაყალიბებლად. მსოფლიო ბანკის 2019 წლის ანგარიშის-“Doing Business 2019“-მიხედვით, საქართველო, გადასახადების კუთხით მე-16 ადგილზე იმყოფება, საქართველოში არსებული საშუალო საგადასახადო ტვირთი კორპორატიული მოგების 9.9%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალია და პოზიტიურად არის შეფასებული საერთაშორისო რესპოდენტების მიერ.⁴ მიუხედავად ამისა, მოსაკრებლების დაანგარიშების არსებული პრაქტიკა საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან უარყოფითად შეფასდა. საერთაშორისო რესპოდენტები მოსაკრებლის ათვისების გეგმის საფუძველზე დარიცხვას არარაციონალურად და უსამართლოდ მიიჩნევენ. მათი დამოკიდებულება

⁴ http://www.doingbusiness.org/en/data/exploreconomies/georgia#DB_tax.



მოსაკრებლების საკითხის მიმართ ემთხვევა საქართველოში ადგილობრივ კომპანიათა კვლევის შედეგებს.

საუკეთესო რეგულირების პრაქტიკით რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის დაანგარიშება ხდება რეალურად მოპოვებული რესურსები მოცულობაზე დაყრდნობით. მოსაკრებლის განაკვეთი უმეტეს შემთხვევაში არ არის ფიქსირებული და რესურსის საბაზრო ფასიდან გარკვეული პროცენტის სახით არის განსაზღვრული. აღნიშნული მიდგომა სამართლიანად ანაწილებს რისკს კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის. რესურსის საბაზრო ფასის ზრდის შემთხვევაში იზრდება სახელმწიფოსთვის გადახდილი მოსაკრებლის ოდენობა, ხოლო საბაზრო ფასის ვარდნის შემთხვევაში კომპანიების მიერ გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობა და ფინანსური ტვირთიც მცირდება.

საქართველოს ცნობადობის დონე საერთაშორისო ინვესტორთა შორის საკმაოდ დაბალია. გამოკითხულთა უმეტესობა არ ფლობს ინფორმაციას ან აქვს მხოლოდ მწირი მონაცემები საქართველოს შესახებ. გამოკითხული 38 რესპოდენტებიდან, 14 მათგანმა განაცხადა, რომ არ ფლობს არანაირ ინფორმაციას შესახებ, ხოლო 15-მა მათგანმა პასუხი არ გასცა აღნიშნულ შეკითხვას. საინტერესოა, რომ

**ამონარიდი სჯერათა შორის ოინვესტორების
პასუხები და ნსაქართველოს შესახებ:**

“მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას გააჩნია წიაღისეულის მოპოვების ხანგრძლივი ისტორია, საკანონმდებლო ჩარჩო მოძველებულია, გაუმჭვირვალე და კომპლექსურია.”

“უესწავლის ლიცენზიის მოქმედების ვადა მცირეა და ამ დროში ვერ მოხერხდება საბაზრო და ძიების სამუშაოების სრულად განხორციელება”

„სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად განვითარებული. გეოლოგიური მონაცემები მოძველებულია, რაც ზრდის საბაზრო შესწავლის სამუშაოებზე და ხარჯულ დროს“

“როგორც ჩანს, მსხვილი პროექტების თავმოყრა ხდება რამდენიმე ძლიერი კომპანიის ხელში, რომელიც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს სექტორში კონკურენტული გარემოს ფორმირებაზე.”

გამოკითხული რესპოდენტებიდან უმეტესობამ გამოხატა ინტერესი საქართველოს მიმართ და განაცხადა, რომ ისურვებდა მეტი ინფორმაციის მიღებას ქვეყნის შესახებ.

ცხრა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას საქართველოს შესახებ. თუმცა, დაკონკრეტების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხუთ მათგანს მეტწილად ნეგატიური წარმოდგენა ქონდა ქვეყანაზე და ფიქრობდნენ, რომ საქართველოში კვლავ არსებობს



კორუფციის, ბიუროკრატიისა და კერძო სექტორის საქმიანობაში პოლიტიკური ჩარევის პრობლემები.

გეოლოგიური მიმზიდველობის კუთხით, მხოლოდ ოთხმა რესპოდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს გეოლოგიური სპეციფიკა საინტერესო შესაძლებლობას იძლევა ახალი საბადოების გამოსავლენად, თუმცა აღნიშნული რესპოდენტები არ ფლობდნენ დეტალურ ინფორმაციას საქართველოს წიაღისეულის სექტორის შესახებ.

გამოკითხვის შედეგებს შორის, უნდა აღინიშნოს, რამდენიმე საერთაშორისო ინვესტორის პირადი მოსაზრება საქართველოს გეოლოგიურ პოტენციალთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მაგალითი არის ავსტრალიური ფონდის მენეჯერის მოსაზრება, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს მაღალი გეოლოგიური პოტენციალი გააჩნია. ნათელია, რომ არსებობენ პოტენციური ინვესტორები, რომლებიც საქართველოს მიიჩნევენ საინტერესოდ ახალი საბადოების დაძიების პროექტების განსახორციელებლად. სწორედ ამიტომ, ქვეყნის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციის პარალელურად, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ეფექტური მექანიზმი, რომელიც ინვესტორებს გაუმარტივებს ახალი საბადოების შესწავლის პროექტების განხორციელებას.



4.2 ადგილობრივ კომპანიათა გამოკითხვის შედეგები

აღნიშნული სექციაში წარმოდგენილია ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც გამოიკვეთა ადგილობრივ წიაღისეულის მომპოვებელ კომპანიათა გამოკითხვის შედეგად. ადგილობრივ კომპანიებთან პერსონალური ინტერვიუების შედეგებმა გამოავლინა საქართველოს წიაღის სექტორის ძირითადი გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები.

ადგილობრივი კომპანიებისთვის ყველაზე მთავარი გამოწვევას მოსაკრებლის დაანგარიშების არსებული მიდგომა წარმოადგენს. სწორედ მოსაკრებლის დაანგარიშების წესი არის მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ მიაჩნიათ ადგილობრივ კომპანიებს დღევანდელი მარეგულირებელი სისტემა არასამართლიანად.

რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი, იგივე როიალტი, არის კომპანიების მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი გადასახადი სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის. არსებობს ორი სახის მოსაკრებელი: რეგულირების საფასური⁵- რომელიც ირიცხება წიაღის ეროვნულ სააგენტოს ბიუჯეტში და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი⁶ (მოპოვების საფასური), რომელიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში ირიცხება. მოსაკრებლის განაკვეთი ფიქსირებულია და განსხვავდება სასარგებლო წიაღისეულის კატეგორიების მიხედვით. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი გაიანგარიშება წინასწარ დამტკიცებული ათვისების გეგმით განსაზღვრული წლიური დაგეგმილი მოპოვების მიხედვით. თუ რესურსის ფაქტობრივი მოპოვება აღემატება ათვისების გეგმით განსაზღვრულ მოცულობას, მოსაკრებელი დაიანგარიშება ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის ოდენობის მიხედვით. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ რესურსის ფაქტობრივი მოპოვება დაგეგმილზე ნაკლებია, ამ შემთხვევაში კომპანიები მოსაკრებელს იხდიან გეგმით გათვალისწინებული მოცულობის მიხედვით.⁷ საგულისხმოა ისიც, რომ კანონი არ იძლევა შესაძლებლობას მოხდეს ზედმეტად გადახდილი მოსაკრებლის ჩათვლა მომდევნო წლებში.


⁵ Law of Georgia on Regulatory Fees, July 1, 2005.
⁶ Law of Georgia on Fees for Use of Natural Resources, December 30, 2004.
⁷ Article 51 Law of Georgia on Fees for Use of Natural Resources, December 30, 2004.



ადგილობრივი კომპანიების 95% რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის განგარიშების არსებულ მეთოდს უსამართლოდ მიიჩნევს. (იხ. გრაფიკი 4)

კვალიფიციური კადრების დეფიციტი სექტორისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. კომპანიათა უმეტესობა თავად ახდენს საკუთარი პერსონალის გადამზადებას ან უცხოეთიდან იწვევს კვალიფიციურ კადრებს. გამოკითხულთა 80% აცხადებს, რომ მათთვის პრობლემატურია კვალიფიციური უნარების მოძიება. დარჩენილ 20%-ს მსგავსი პრობლემა არ აქვთ, რადგან უკვე დაქირავებული ყავთ გეოლოგები და დარგის სპეციალისტები, რომელთაც განათლება საბჭოთა კავშირის დროს აქვთ მიღებული. მიუხედავად ამისა, აღნიშნული კომპანიებიც თვლიან, რომ დარგში ახალი თაობის პროფესიონალთა დეფიციტია რაც მომავალში კიდევ უფრო მწვავე პრობლემად იქცევა.

გრაფიკი 4: სექტორში არსებული გამოწვევები ადგილობრივი კომპანიის გამოკითხვის შედეგების მიხედვით



ადგილობრივი რესპონდენტების მიერ პოზიტიურად იქნა შეფასებული შემდეგი საკითხები:

პოლიტიკური სტაბილურობა—გამოკითხულ კომპანიათა 92% დღევანდელ პოლიტიკურ გარემოს სტაბილურად და პოზიტიურად აფასებს.



ზოგადი უსაფრთხოება და დაცულობა—გამოკითხულ კომპანიათა 90% ზოგად გარემოს უსაფრთხოდ და დაცულად აფასებს. ისინი თვლიან, რომ საბადაოს მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების საკითხი პრობლემას არ წარმოადგენს.


ლიცენზიის გაცემის აუქციონის სისტემა გამჭვირვალედ და სამართლიანად იქნა მიჩნეული გამოკითხულთა 70%-ის მიერ, რაც აუქციონის სისტემისადმი ნდობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

მიწის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავები უკანასკნელ წლებში სულ უფრო იშვიათი გახდა. აღნიშნულს ადასტურებს გამოკითხვის შედეგები. გამოკითხულთა 72%-ის განცხადებით მათ არ აქვთ და არც ჰქონიათ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული დავები.

ძირითადი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის (გზები, ელექტროენერგია, წყლის მიწოდება) ხელმისაწვდომობა და ხარისხი პოზიტიურად იქნა შეფასებული გამოკითხულ კომპანიათა 64%-ის მიერ.

პერსონალური ინტერვიუების გარდა, ადგილობრივმა კომპანიებმა ანონიმური კითხვარების საშუალებით შეაფასეს სექტორის მარეგულირებელი ჩარჩო სამართლიანობისა და გამჭვირვალობის კუთხით. ჯამში შეგროვდა 56 ანონიმური პასუხი. (იხ. გრაფიკი 5)

გრაფიკი 5: ადგილობრივი კომპანიების განწყობა წიაღისეულის სექტორში არსებული სისტემის მიმართ






კომპანიათა მნიშვნელოვანი უმეტესობა (59%) წიაღის სექტორში არსებული რეგულირების სისტემას⁸ ღიად და გამჭვირვალედ მიიჩნევს. გამჭვირვალობის თვალსაზრისით, არსებულმა რეგულირების სისტემამ ნეგატიური შეფასება დაიმსახურა გამოკითხულთა 20%-ის მხრიდან, ხოლო დარჩენილი 21% აცხადებს, რომ უჭირთ აღნიშნულ საკითხზე კომენტარის გაკეთება. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ დამატებითი ძალისხმევა არის საჭირო კერძო სექტორის მიერ რეგულირების სისტემისადმი ნდობის გასაძლიერებლად.

ადგილობრივი კომპანიების გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ჯერ კიდევ არსებობს სექტორში ლიცენზიებით სპეკულაციური ვაჭრობის შესაძლებლობა. ანონიმური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კომპანიების 57% თვლის, რომ კვლავ აქვს ადგილი სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიებით სპეკულაციურ ვაჭრობას (იხ. გრაფიკი 5). როგორც აღმოჩნდა, კომპანიათა ნაწილი იღებს რესურსების სარგებლობის ლიცენზიას მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოახდინოს მისი გადაყიდვა უფრო მაღალ ფასად, რაც შეეხება საბადოს დამუშავებას, აღნიშნული მათ ინტერესში არ შედის. აღნიშნული პრაქტიკა ცნობილია როგორც „ლიცენზიის პასიური ფლობა“, რომელიც ხელს უშლის რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და პოტენციური საბადოების განვითარებას. შერჩეული კომპანიების 18.6%, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, მიზეზად დაასახელეს ის ფაქტი, რომ არ ახდენენ რესურსების მოპოვებას და მხოლოდ ფლობენ ლიცენზიებს. პასიური ლიცენზიების ყველაზე დიდი ნაწილი არის მეტალების კატეგორიაში, სადაც 26 არსებული ლიცენზიანიტიდან 42.3% არ ახორციელებს საბადოზე შესწავლა მოპოვებით სამუშაოებს. პასიური ლიცენზიების ყველაზე მცირე წილი ქიმიური და სამრეწველო ნედლეულის კატეგორიაში დაფიქსირდა, სადაც 18 ლიცენზიანიტიდან 22.2% არ ახდენს საბადოს დამუშავებას. (იხ. გრაფიკი 6)

⁸ რეგულირების სისტემის გამჭვირვალობა ეხება წესების, პროცედურების და რეგულირების პირების (NAM) მოქმედებების ზოგად გამჭვირვალობას სექტორში.



გრაფიკი 6: პასიური ლიცენზიების წილი მინერალური რესურსების კატეგორიების მიხედვით



გამოკითხულთა 30% დღევანდელ მარეგულირებელ ჩარჩოს სამართლიანად მიიჩნევს, ხოლო 38% თვლის, რომ რეგულირების არსებული პრაქტიკა უსამართლოა. გამოკითხულთა 32%-ს უჭირს შეფასების გაკეთება. კომპანიები, რომლებიც არსებულ რეგულირების პრაქტიკას უსამართლოდ მიიჩნევენ, ძირითად მიზეზად მოსაკრებლების დაანგარიშების მეთოდს ასახელებენ.

გადასახადები და მოსაკრებლები


რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის დაანგარიშების არსებული წესი გამოკითხულთა 93%-ის მიერ სექტორის მთავარ გამოწვევად დასახელდა. თითქმის ყველა კომპანია თანხმდება, რომ მოსაკრებლების დაანგარიშება უნდა მოხდეს არა ათვისების გეგმის, არამედ ფაქტობრივად მოპოვებული რესურსების მიხედვით (იხ. გრაფიკი 7). რესპონდენტები აცხადებენ, რომ არსებული მეთოდი არ იძლევა საშუალებას მოხდეს ზედმეტად გადახდილი მოსაკრებლის ჩათვლა და შესაბამისად, ისინი იძულებულნი არიან ორჯერ გადაიხადონ მოსაკრებელი ერთი და იგივე რესურსის მოპოვებისთვის.



სამთო ლიცენზიები ძირითადად გაცემულია გრძელვადიანი პერიოდისთვის და მოპოვების 25 წლიანი გეგმის წინასწარი შემუშავება თითქმის შეუძლებელია. აღნიშნული მიდგომა, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი კომპანიების მიერ შეფასდა არაეფექტურ და უსამართლო მეთოდად.

მხოლოდ სამმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ დაგეგმილი მოპოვება უნდა დარჩეს ისე, როგორც მოსაკრებლის გამონაგარიშების საფუძველი, რადგან მსგავსი მიდგომით შესაძლებელი ლიცენზიის პასიური ფლობის შემცირება და კომპანიების მოტივაციის ამაღლება, გეგმის თანახმად მოიპოვონ სასარგებლო წიაღისეული.

გრაფიკი 7: რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის (როიალტის) დაანგარიშების საფუძველი უნდა იყოს



პრობლემას წარმოადგენს ის საკითხიც, რომ წყლის მოპოვების შემთხვევაში როიალტის განაკვეთი განსხვავდება კომპანიების მიხედვით. წყლის მომპოვებელი კომპანიების ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ ფაქტით, რომ კონკურენტებთან შედარებით მათი დაბეგვრა ხდება გაცილებით მაღალი როიალტის განაკვეთით. აღნიშნულ პრაქტიკას ისინი უსამართლოდ მიიჩნევენ და თვლიან, რომ დღესდღეობით სექტორის რეგულირების პრაქტიკა არ უზრუნველყოფს თანაბარ მიდგომას ბაზრის ყველა მონაწილის მიმართ.

მოსაკრებლის განაკვეთის განსაზღვრასთან დაკავშირებით, იმ კომპანიათა 91%, რომელიც ამუშავებს მეტალებს, ქიმიკატებსა და სხვა ენერგო რესურსებს, აცხადებს, რომ მათთვის მისაღებია როიალტის განაკვეთად განისაზღვროს დადგენილი პროცენტი რესურსის საბაზრო ფასიდან. მათი აზრით, როიალტის განაკვეთის სასარგებლო წიაღისეულის საბაზრო ფასთან




დაკავშირება უზრუნველყოფს ფასის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების უფრო სამართლიან გადანაწილებას კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის.

კომპანიები, რომლებიც ახდენენ წყლისა და სამშენებლო რესურსების მოპოვებას, უპირატესობას ანიჭებენ როიალტის ფიქსირებულ განაკვეთს მოპოვებული რესურსის ერთეულზე (გრაფიკი 8), რადგან აღნიშნული რესურსების საბაზრო ფასი შედარებით სტაბილურია.

ფიქსირებული როიალტის განაკვეთის უპირატესობა მდგომარეობს გაანგარიშებისა და აღრიცხვის სიმარტივეში. შესაბამისად, ფიქსირებული განაკვეთ ბიზნესს გაუმარტივებს მომავალი საგადასახადო ვალდებულებების პროგნოზირებას.

გრაფიკი 8: ადგილობრივი კომპანიების დამოკიდებულება როიალტის განაკვეთის დადგენასთან დაკავშირებით





გეოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

გამოკითხულთა 82%-მა აღნიშნა, რომ გეოლოგიურ მონაცემთა ცენტრალური ბაზის არსებობა შეამცირებს საინვესტიციო ხარჯებსა და რისკებს, თუმცა 3% თვლის რომ აღნიშნული ბაზის შექმნა არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებზე. კომპანიები, რომლებიც თვლიან რომ გეოლოგიურ მონაცემთა ბაზის შექმნა მათზე გავლენას არ იქონიებს, ძირითადად სამშენებლო რესურსებისა (ქვიშა-ხრემის) და მიწისქვეშა წყლების მოპოვებას ახორციელებენ. ასეთი ტიპის რესურსების შემთხვევაში ადვილია საბადოს გეოლოგიური თვისებებისა და მარაგების შესწავლა, შესაბამისად, გეოლოგიური მონაცემების არსებობა მათზე დიდი გავლენას არ მოახდენს. თუმცა, ისეთი საბადოებისთვის, როგორცაა მეტალების, ქიმიური მასალების და ნახშირის საბადოები, გეოლოგიური ანგარიშების არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

წიაღის ეროვნულ სააგენტოში არსებული ანგარიშები ძირითადად საბჭოთა კავშირის პერიოდშია მომზადებული. ანგარიშებში ინფორმაცია ძირითადად რუსულ ენაზეა მოცემული. გეოლოგიური ანგარიშები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის და ამასთანავე, ანგარიშების ელექტრონული ვერსიები წიაღის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზეც არის განთავსებული. მიუხედავად ამისა, კვლავ არსებობს გარკვეული დაბრკოლებები აღნიშნული ინფორმაციის მოსაპოვებლად, კერძოდ:

ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზეა, რაც უცხოელი ინვესტორებისთვის ართულებს ძიების პროცესს.

მონაცემთა საძიებო სისტემა არ იძლევა საშუალებას მოხდეს ძიების დროს ინფორმაციის ფილტრაცია რესურსის სახეობის ან საბადოს ადგილმდებარეობის მიხედვით. ამ ეტაპზე, თუ დაინტერესებულ პირს სურს გეოლოგიური ანგარიშის მოძიება ვებსაიტზე, მან უნდა იცოდეს ანგარიშის ნომერი, სხვა შემთხვევაში ანგარიშის მოძიების პროცესი გაურთულდება.

სასარგებლო წიაღისეულის მარაგები შეფასებულია რუსეთის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო კომიტეტის მიერ მიღებული კლასიფიკაციით (GKZ), რომელიც მოძველებულია და არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ კლასიფიკაციის სტანდარტს. (რუსეთმა მიიღო ახალი კლასიფიკაციის სტანდარტი რომელმაც შეცვალა GKZ⁹ სისტემა). საქართველოს მთავრობამ, 2017 წელს მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც მეტალების

⁹ "GKZ" is the code for reporting mineral reserves adopted by Russian State Committee.



საბადოს მარაგების შეფასება უნდა მოხდეს გაერთიანებული მარაგების კომიტეტის (JORC)¹⁰ სტანდარტული კლასიფიკაციით. თუმცა ამჟამად, არ არსებობს კადრები, რომლებიც მოახდენენ მარაგების შეფასებას JORC-ის კლასიფიკაციის შესაბამისად.

დღესდღეობით, დამატებით გამოწვევას წარმოადგენს არსებული ლაბორატორიების შეზღუდული რესურსი, რათა მოხდეს საბადოდან ამოღებული ნიმუშების სრულყოფილი შესწავლა. ამ ეტაპზე, ინვესტორები ძირითადად მიმართავენ საზღვარგარეთ მოქმედ ლაბორატორიებს რათა მოახდინონ საბადოს სტრუქტურის, რესურსების ქიმიურ-ფიზიკური მახასიათებლებისა და იმ ტექნოლოგიური თავისებურებების დადგენა, რომლის საფუძველზეც უნდა შეირჩეს საბადოს დამუშავების ტექნოლოგიური მეთოდი. აღნიშნული პრაქტიკა დროში ახანგრძლივებს ინფორმაციის მოპოვების პროცესს და ამასთანავე ზრდის პროექტის საინვესტიციო ხარჯებს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დღეს არსებული საკადასტრო მონაცემების ბაზა არ არის მიბმული წიაღის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიების ბაზებთან. ამ ეტაპზე, როდესაც ხდება ლიცენზიის მიღებაზე მიმართვა დაინტერესებულმა პირმა დამატებით უნდა გადაამოწმოს სალიცენზიო ტერიტორია ხომ არ ხვდება მესამე პირის საკუთრებაში. აღნიშნული პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს. ამასთანავე, არსებობს მიწის საკუთრებაზე დავის წარმოქმნის რისკი თუ არ მოხდა სალიცენზიო ტერიტორიაზე საკუთრების უფლების გადამოწმება. მეორეს მხრივ საჯარო რეესტრი მიწაზე საკუთრების დამტკიცებისას ვერ ახდენს ინფორმაციის გადამოწმებას ხვდება თუ არა სალიცენზიო ტერიტორიაზე მიწა რომელზეც ხდება საკუთრების დამტკიცება.

კვალიფიციური კადრების ხელმისაწვდომობა

კვალიფიციური კადრების ნაკლებობა საქართველოს წიაღის სექტორის განვითარების ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. გამოკითხულთა 80%-მა აღნიშნა, რომ მათთვის რთულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის მოძიება ადგილობრივ ბაზარზე. დარჩენილი 20% აცხადებს, რომ ამ ეტაპზე კადრების მოძიების პრობლემა არ აქვთ, თუმცა, აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდა გეოლოგებისა და ინჟინრების ნაკლებობა მომავალში წიაღის სექტორის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად იქცევა.

¹⁰ The Australian code for reporting mineral reserves.



კომპანიები რომლებსაც ამ ეტაპზე კვალიფიკაციური კადრების მოძიებასთან დაკავშირებით პრობლემები არ აქვთ, ძირითადად წარმოადგენენ სამშენებლო მასალებისა და წყლის მომპოვებელ კომპანიებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიებს, რომლებიც კვალიფიციური კადრების ხელმისაწვდომობა პრობლემად არ მიაჩნიათ ან საქმიანობიდან გამომდინარე არ საჭიროებენ სპეციფიური უნარების მქონე კადრებს, ხოლო კომპანიათა ნაწილს, უკვე ყავთ დაქირავებული ძველი გეოლოგები ან საზღვარგარეთიდან მოწვეული სპეციალისტები.

მიუხედავად განსხვავებული პასუხებისა, შედეგებიდან ჩანს რომ მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა წიაღის სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, კომპანიათა ნაწილი საჭირო უნარების მოძიებას ძირითადად ძველი გეოლოგების დაქირავებით ან საზღვარგარეთიდან სპეციალისტების მოწვევით ახდენს (რაც საკმაოდ ხარჯიანია). მიუხედავად ამისა, ადგილობრივი კომპანიები ერთხმად აღნიშნავენ რომ ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა სექტორში მზარდ პრობლემას წარმოადგენს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კვალიფიკაციური კადრების საკითხის გადაჭრის მიზნით, კომპანიები საკუთარი ხარჯებით ახორციელებენ საკუთარი კადრების გადამზადების პროგრამებს. ამასთანავე, ადგილობრივი კომპანიები თანამშრომლობენ უნივერსიტეტებთან, მონაწილეობას იღებენ დასაქმების გამოფენებში, რათა აღმოაჩინონ ახალგაზრდა ნიჭიერი სტუდენტები და შემდგომში განახორციელონ ინვესტირება მათ პროფესიულ განვითარებაში. კომპანიები იწვევენ ახალგაზრდა კადრებს სტაჟირებაზე და აფინანსებენ მათ გადამზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებს.

ადგილობრივი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არიან საბჭოთა კავშირის პერიოდის გამოცდილი გეოლოგები და ინჟინრები. გეოლოგიის დეპარტამენტი იყო სპეციალიზებული ინსტიტუტი ინჟინრების, გეოლოგებისა და ჰიდროგეოლოგების მოსამზადებლად. უნივერსიტეტებში არსებობდა კათედრები, სადაც ხდებოდა ახალგაზრდა კადრების მომზადება. დღესდღეობით, ჯერ კიდევ არსებობს ძველი ცოდნა და გამოცდილება, რომლის გადაცემაც შესაძლებელია მომავალი თაობისთვის, უნივერსიტეტებში შესაბამისი ფაკულტეტებისა და სპეციალობების გაძლიერებით.

კომპანიები თანხმდებიან რომ დასაქმებისას ადგილობრივ კადრებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, თუმცა ამ ეტაპზე, კვალიფიციური უნარების ნაკლებობის პირობებში ადგილობრივი სამუშაო ძალის აყვანის ვალდებულების დაკისრება უფრო მეტ პრობლემას წარმოქმნის და ვერაფერს შეცვლის. კომპანიები დაბალანაზღაურებადი მუშახელის არსებობის გამო უკვე ასაქმებენ ადგილობრივ სამუშაო ძალას ისეთ პოზიციებზე, რომლებიც არ



საჭიროებენ სპეციალურ უნარებს. თუმცა, უცხოური კომპანიების გარკვეული ნაწილი როგორც მაღალი ასევე დაბალი კვალიფიკაციის პოზიციებზე საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს ასაქმებს, რამაც მნიშვნელოვანი კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივ მოსახლეობასთან. რეკომენდირებულია მომავალში მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ვალდებულების დაკისრება და ამასთანავე საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება, რათა ერთნაირი უნარების შემთხვევაში, კომპანიებს გაუჩნდეთ სტიმული უპირატესობა მიანიჭონ ადგილობრივი სამუშაო ძალის დაქირავებას.

ლიცენზიები და ნებართვები

წილის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად წილისეული რესურსების სარგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობა ექვემდებარება ლიცენზირებას. ლიცენზიების გაცემაზე პასუხისმგებელ უწყებას წილის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს, აღნიშნული განსაზღვრულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის #1-1/2 ბრძანებით.

წილის სექტორში გაიცემა ორი სახის ლიცენზია:¹¹

შესწავლა-მოპოვების ლიცენზია

მოპოვების ლიცენზია

შესწავლა-მოპოვების ლიცენზია გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ინფორმაცია საბადოს სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესახებ ან არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დასაწყებად. ლიცენზია გაიცემა განსაზღვრული ვადით. ლიცენზიის მოქმედების ვადა დამოკიდებულია სასარგებლო წიაღისეულის სახეობასა და დამტკიცებული მარაგების რაოდენობაზე. წილის ეროვნული სააგენტო მთავრობასთან შეთანხმებით უფლებამოსილია გააგრძელოს ლიცენზიის მოქმედების ვადა.

წილით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით. ადგილობრივი კომპანიების 70% პოზიტიურად არის განწყობილი არსებული აუქციონის სისტემის მიმართ.


უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის საფასურის ერთ ჰექტარზე 500 ლარიდან 50 ლარამდე შემცირება პოზიტიურად იქნა აღქმული ადგილობრივი კომპანიების

¹¹ Ibid.



მიერ, თუმცა კომპანიების განცხადებით მხოლოდ ლიცენზიის საფასურის შემცირება არ არის საკმარისი ახალი საბადოების მოძიების პროცესის წასახალისებლად.

გრაფიკი 9: ადგილობრივი კომპანიების განწყობა ლიცენზირების პროცესთან დაკავშირებით



გამოკითხულთა 61% აცხადებს რომ ლიცენზირების მოპოვების საწყისი ხარჯი მაღალია (იხ. გრაფიკი 9), ხოლო დარჩენილი 39% აღნიშნულ ხარჯს მისაღებად მიიჩნევს. გამოკითხულთა განცხადებით, საბადოს შესწავლის ეტაპიდან რესურსები მოპოვების ეტაპზე გადასვლის ხარჯი მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს. არსებული პრაქტიკით, რესურსის აღმოჩენის შემთხვევაში აღმოჩენილი მარაგები მტკიცდება სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის მიერ, ხოლო კომპანიამ რესურსის მოპოვების ეტაპზე გადასვლისას უნდა გადაიხადოს ერთჯერადი გადასახადი, რომელიც გამოითვლება საქართველოს მთავრობის მიერ 2005 წლის აგვისტოს N136 დადგენილებით განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ადგილობრივი კომპანიები ზემოთ აღნიშნული ერთჯერადი გადასახადის დაანგარიშების ფორმულას არაეფექტურად და არასამართლიანად მიიჩნევენ. არსებული მეთოდოლოგიით მარაგების დამტკიცებისას რესურსის მოპოვების უფლების მისაღებად საჭირო ერთჯერადი გადასახადის ოდენობა დამტკიცებული მარაგების რაოდენობაზეა დამოკიდებული.




ფორმულის მიხედვით, რაც უფრო მაღალია მარაგების რაოდენობა მით უფრო მეტ თანხას იხდის კომპანია მოპოვების უფლების მისაღებად. ადგილობრივი კომპანიები თვლიან, რომ აღნიშნული მიდგომა ზრდის საბაღოს დამუშავების საწყის ხარჯს და ამცირებს შესწავლის სამუშაოების განხორციელების სტიმულს.

კომპანიები თანხმდებიან რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს მისი კუთვნილი სარგებელი წიაღისეული რესურსების დამუშავებიდან, თუმცა აღნიშნული გადასახადი უნდა იყოს მიზანშეწონილი და მისი დაანგარიშება უნდა მოხდეს სამართლიანად.

ლიცენზიებით სპეკულაციური ვაჭრობა დამატებით პრობლემას წარმოადგენს. გამოკითხულთა 60% აცხადებს რომ ლიცენზიის ე. წ. პასიური ფლობა და ლიცენზიებით სპეკულაციური ვაჭრობა კვლავ მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს. კომპანიები და ფიზიკური პირები იღებენ წიაღით სარგებლობის ლიცენზიას მისი მაღალ ფასად გადაყიდვის მიზნით, ხოლო საბაღოს დამუშავება და რესურსის მოპოვება მათ ინტერესს არ წარმოადგენს. შედეგად, ფერხდება საბაღოს განვითარების პროცესი, რაც უარყოფითად მოქმედებს სექტორის განვითარებაზე



გრაფიკი 10: ადგილობრივი კომპანიების განწყობა ლიცენზიების პასიური ფლობისა და ლიცენზიებით სპეკულაციური ვაჭრობის საკითხის მიმართ



როგორც გრაფიკიდან ჩანს გამოკითხულთა უმეტესობის აზრით ლიცენზიის პასიური ფლობა სახეზეა რესურსის ყველა კატეგორიისთვის და სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას „გამოიყენე ან დაკარგე“ პრინციპზე დაფუძნებული რეგულირება წარმოადგენს. გამოკითხულთა 67% ეთანხმება აღნიშნული მიდგომის დანერგვას და თვლის რომ „გამოიყენე ან დაკარგე“ პრინციპზე დაფუძნებული პრაქტიკა შეამცირებს ლიცენზიის პასიური ფლობის შემთხვევებს და საბადაოს გაჩერების რისკს.

ლიცენზირება და სხვა ბიუროკრატიული საკითხები

გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ლიცენზიის აუქციონის წესით მოპოვებისას მნიშვნელოვანი ბიუროკრატიული ბარიერები არ ხვდებათ. თუმცა, აღნიშნავენ, რომ სირთულეებს აწყდებიან სხვა დამატებით საჭირო ნებართვების მიღების პროცესში.



გარემოსდაცვითი ნებართვები, ტყის ჭრის ან საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე გზის მშენებლობის და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული ნებართვები სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ გაიცემა და მათი მიღების პროცესი ხშირად დროში იწელება. კვლევის პროცესში რესპონდენტებმა აღნიშნეს შემთხვევები, როდესაც მოხდა წიაღის მოპოვების ნებართვის გაცემა, თუმცა საბადოს ტერიტორიაზე ტყის ჭრის ნებართვის მიღება ვერ მოხერხდა. შედეგად კომპანია დაჯარიმდა იმის გამო, რომ არ მოახდინა ათვისების გეგმით დადგენილი მოცულობის მოპოვება.

კომპანიები აღნიშნავენ, რომ სააგენტოსთან ურთიერთობა უკანასკნელ წლებში გამარტივდა, თუმცა ამ კუთხით დამატებითი ნაბიჯების გადადგმა საჭირო, რათა მოხდეს კომუნიკაციის გაძლიერება კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის. ფიქრობენ, რომ ერთი სარკმლის პრინციპის მიდგომა და ლიცენზიისა და ყველა საჭირო ნებართვის ერთ პაკეტად შეკვრა გააუმჯობესებს სიტუაციას.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის დაყოვნებები ლიცენზიის გაცემისას. ძირითადად დაყოვნებები დაკავშირებულია მარაგების დამტკიცების პროცესთან. გამოკითხულთა 52.5%-ის აზრით ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული დაყოვნებები კვლავ პრობლემაა სექტორში. კომპანიები აღნიშნავენ, რომ დაყოვნებები გამოწვეულია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის მიერ მარაგების დამტკიცების პროცესთან. უშუალოდ კომისიის მუშაობა დადებითად შეფასდა კომპანიების მიერ, თუმცა ასევე აღინიშნა, რომ კომისიის დაკომპლექტების პროცესი დროში იწელება, რაც შესაბამისად აყოვნებს მარაგების დამტკიცებას და მოპოვების დაწყების პროცესს. არის შემთხვევები, როდესაც მარაგების დამტკიცებას წელიწადზე მეტი დრო სჭირდება.

ადგილობრივი კომპანიების კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ადგილი აქვს წიაღისეულის მარაგების არაეფექტურ გამოყენებას. საბადოს დამუშავების პროცესში ხდება სხვადასხვა სახის წიაღისეულის მოპოვება, თუმცა კომპანია ფლობს მხოლოდ ერთი განსაზღვრული რესურსის დამუშავების უფლებას. არსებული პრაქტიკით, რესურსი, რომელზეც ლიცენზია არ არის გაცემული უნდა დაბრუნდეს საბადოს დახურვისას. თანმდევი რესურსის დასამუშავებლად დამატებითი ლიცენზიაა საჭირო. თუ სხვა კომპანია დაინტერესდება ამ



რესურსის მოპოვებით მან თავიდან უნდა გახსნას საბადო და თავიდან უნდა გაიღოს ხარჯი. აღნიშნული პრაქტიკა არაეფექტურადაა მიჩნეული კომპანიების მიერ.

დამატებითი პრობლემაა მიწის მინაკუთვნის განსაზღვრის საკითხი, სადაც უნდა მოხდეს ფუჭი ქანებისა და ჰუმუსის დასაწყობება რომელიც საბადოს რეკულტივაციისთვის გამოიყენება. ლიცენზიის პირობებში სალიცენზიო ტერიტორია განსაზღვრულია როგორც სამთო მინაკუთვნი, სადაც უნდა მოხდეს მხოლოდ რესურსის მოპოვება და არა დასაწყობება. კომპანიები იძულებულნი არიან იყიდონ დამატებითი მიწა ფუჭი ქანებისა და თანმდევი რესურსების დასაწყობებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდებიან. მნიშვნელოვანია, რომ სალიცენზიო პირობებში საბადოს კონტურზე მოხდეს სამთო და მიწის მინაკუთვნის სტატუსის განსაზღვრა.

სანიტარული ზონების მოწყობის საკითხი პრობლემას წარმოადგენს წყლის მომპოვებელი კომპანიებისთვის. საქართველოს კანონით „წყლის რესურსების შესახებ“ კომპანიები ვალდებული არიან, მიწისქვეშა წყლის მოპოვების ადგილზე მოაწყონ სანიტარული ზონები, რათა მოხდეს მიწისქვეშა წყლების დაბინძურების თავიდან აცილება. მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო აქტით არ არის განსაზღვრული უწყება, რომელიც მოახდენს სანიტარული ზონების დამტკიცებას. ამჟამად, კომპანიების მიერ მოწყობილი სანიტარული ზონები ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული. აღნიშნული ფაქტის გამო, კომპანიები შეზღუდულნი არიან გამოიყენონ ლეგალური ინსტრუმენტები, რათა აღკვეთონ სანიტარულ ზონებში მესამე პირების მიერ საქმიანობის განხორციელება და თავიდან აირიდონ მიწისქვეშა წყლის დაბინძურების რისკები.

ამონარიდი ადგილობრივი კომპანიასთან ინტერვიუდან:

„ნახშირის მოპოვებისას ხდება თანმდევი პროდუქტის მეთანის გაზის გამოყოფა. მეთანის დასამუშავებლად და მატებითი ნებართვაა საჭირო, რაც შესაბამისი ხარჯის გაწევას საჭიროებს. კომპანიას არაქვს ეკონომიკური სტიმული მეთანის და მუშავეების და ნებართვის არქონის გამო გამოყოფილი გაზი იკარგება ჰაერში, რაც რესურსის არაეფექტური გამოყენების გარდა მატებით გარემოსთვისაც საზიანოა. კომპანიას უნდა ჰქონდეს საშუალება დაამუშაოს თანმდევი მინერალური და რესურსები, ასეთი მიდგომა ხელს შეწყობს მინერალური რესურსების ეფექტურ ათვისებას“

დაძიების მიზნით ნიადაგის უნებართვო ბურღვის შემთხვევები. უნებართვო საქმიანობა საფრთხეს უქმნის საბადოს, კერძოდ, ამან შეიძლება გამოიწვიოს მიწისქვეშა წყლების დაბინძურება ან ტერიტორიის დაჭაობება. ასობით ჰექტარის დაჭაობება მოხდა უნებართვო სამუშაოების წარმოების გამო.



ბოლო საკითხი ეხება ლიცენზიის განახლების პროცედურებს, რაც წყლისა და სამშენებლო მასალების მომპოვებელი კომპანიებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ლიცენზიის ვადის გასვლის შემდეგ კომპანიამ ხელახლა უნდა მიიღოს აუქციონში მონაწილეობა, რათა განახლოს ლიცენზიით სარგებლობის უფლება. არსებობს რისკი იმისა, რომ სხვა, კონკურენტმა კომპანიამ მიიღოს აუქციონში მონაწილეობა და მიიღოს ლიცენზია. ლიცენზიის განახლებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა კომპანიებს აიძულებს, რომ ლიცენზიის ვადის გასვლამდე 5 წლით ადრე შეაჩერონ გაფართოების პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიისა და ნებართვების მიღებასთან დაკავშირებული პროცესი დროში ხანგრძლივდება, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში სიტუაცია გაცილებით გაუმჯობესდა. კომპანიები დადებითად აფასებენ წიაღის ეროვნული სააგენტოს საქმიანობას, თუმცა თვლიან, რომ დამატებითი ნაბიჯებია საჭირო სექტორის ეფექტური რეგულირების მისაღწევად.

კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია ხშირი კომუნიკაცია სააგენტოსა და სახელმწიფო უწყებებთან, რათა მუდმივად იყვნენ ინფორმირებული სექტორში მიმდინარე პროცესების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს კომპანიებისთვის პერიოდული შეტყობინებების დაგზავნა სექტორის საკანონმდებლო ჩარჩოს განახლებისა და სხვა მარეგულირებელ საკითხებთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ.

კომპანიებთან კომუნიკაციის პროცესისა და სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია მოხდეს ერთი სარკმლის პრინციპის დანერგვა და ელექტრონული სერვისების შემოღება.



ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით ადგილობრივ კომპანიებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ, თუმცა ყველა თანხმდება რომ საბაზისო ინფრასტრუქტურასთან წვდომა (გზა, ელექტროენერგია და წყალი) ხელს შეუწყობს ინვესტიციებსა და შეამციროს პროექტის დანახარჯს.

გამოკითხულთა 64% განაცხადა, რომ ძირითად ინფრასტრუქტურასთან წვდომა მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ასევე, კომპანიები თანხმდებიან რომ საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწყობა კერძო სექტორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

საშუალოდ, საბადოზე საწყისი ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯი საწყისი ინვესტიციის 15-20%-ს შეადგენს.

ზოგ კანონმდებლობაში, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პროექტებზე, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას განავითაროს საჭირო ინფრასტრუქტურა, რათა ასეთი პროექტის ეკონომიკური რენტაბელობა გაიზარდოს. დღესდღეობით ასეთი პრაქტიკა საქართველოში არ არის მიღებული.

ასევე აღსანიშნავია, რომ გამოკითხული კომპანიები საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას კომპანიის კორპორატიულ პასუხისმგებლობად მიიჩნევენ. ანალოგიური მიდგომა არის მიღებული სხვა საუკეთესო რეგულირების მაგალითებშიც.

ზოგადად, შეიძლება ითქვას რომ ინფრასტრუქტურის განვითარება კერძო სექტორის პასუხისმგებლობაა.

გამოკითხულთა ნაწილი, რომელთა საბადოებიც მაღალმთიან რეგიონებში მდებარეობს, აცხადებს, რომ ინფრასტრუქტურის მოწყობა დიდ დროს საჭიროებს და შესაბამისად საბადოს დამუშავების პროცესიც დროში ხანგრძლივდება. ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში საბადოდან რესურსების მოპოვება არ ხდება, თუმცა, ხშირად კომპანიები იხდიან რესურსების მოსაკრებელს ათვისების გეგმით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით. კომპანიებისთვის ეს დამატებით ფინანსურ ტვირთს წარმოადგენს. მოსაკრებლების დარიცხვის ფაქტობრივ მოპოვებაზე მიბმა აღნიშნული საკითხის მოგვარების გზას წარმოადგენს.



დავები

მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული დავები უკანასკნელ წლებში სულ უფრო იშვიათად ხდება. ელექტრონული საკადასტრო სისტემა საშუალებას იძლევა მარტივად მოხდეს მიწაზე საკუთრების უფლების გადამოწმება. გარკვეული პრობლემები არის კოორდინატების სიზუსტესთან დაკავშირებით და ასევე, ზოგიერთ ნაკვეთზე საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული. საჭიროა მოხდეს სააგენტოს ლიცენზიების რეესტრის დაკავშირება, რათა გამარტივდეს მიწაზე რეგისტრირებული უფლებების, ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების საზღვრების გადამოწმება ლიცენზიის გაცემის პროცესში.

მიუხედავად დავების იშვიათი შემთხვევებისა, დღესდღეობით არ არსებობს დავების ეფექტური და დროული გადაჭრის მექანიზმი. კომპანიები, რომელთაც აქვთ დავები, აცხადებენ, რომ დავების გადაწყვეტის პროცესი ხშირად წლობით გრძელდება, რაც აფერხებს მათ საქმიანობას. კვლევის შედეგებიდან ჩანს დავების გადაწყვეტის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება, მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესის საშუალებით. ამასთანავე, პარალელურად საჭიროა პრევენციის მექანიზმი რათა თავიდან იქნას აცილებული დავების წარმოქმნა.

4.3 საქართველოს წიაღი სექტორის SWOT ანალიზი


ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების კვლევის შედეგად გამოვლინდა საქართველოს წიაღის სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამასთანავე, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოხდა საქართველოს წიაღის სექტორში არსებული გამოწვევებისა და განვითარების არსებული პოტენციალის იდენტიფიცირება.

ზოგადი ბიზნეს გარემო, პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, კორუფციის არარსებობა და სტაბილური და გამჭვირვალე საგადასახადო სისტემა საქართველოს წიაღის სექტორის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. საქართველოს აქვს ყველაზე დაბალი გადასახადები რეგიონში რაც მნიშვნელოვანი უპირატესობაა. მსოფლიო ბანკის კვლევის “Doing Business 2019”- ანგარიშის მიხედვით საქართველოში საშუალო საგადასახადო ტვირთი კორპორატიული მოგების 9.9%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით საქართველო 189 ქვეყენას შორის მე-16 ადგილს იკავებს. როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კომპანიები არსებულ საგადასახადო სისტემას ეფექტურად და მისაღებად მიიჩნევენ.



კორუფციის არარსებობა და კერძო სექტორის ნდობა მარეგულირებელი ინსტიტუტების მიმართ კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. ადგილობრივი კომპანიების კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ საბაზო ინფრასტრუქტურასთან წვდომა, მისი ხარისხი და ლიცენზირების გამჭვირვალე სისტემა, სექტორის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

ფიგურა 2: SWOT ანალიზი



ძლიერ მხარეებთან ერთად კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის გამოწვევები, რაც აფერხებს ინვესტიციებს და სექტორის განვითარებას. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ინვესტორთა დაბალი ინფორმირებულობა საქართველოს წიაღის სექტორის შესახებ. სანდო გეოლოგიური მონაცემების ნაკლებობა ასევე ის დაბრკოლებაა, რაც ხელს უშლის ინვესტორებს გაეცნონ ქვეყნის გეოლოგიურ პოტენციალს. საერთაშორისო ინვესტორებისთვის დამაბრკოლებელია ის ფაქტიც, რომ გეოლოგიური ინფორმაცია სააგენტოს ვებგვერდზე მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი. სისუსტეს წარმოადგენს მოსაკრებლების გაანგარიშების არსებული სისტემა, რომელიც ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების მიერ ნეგატიურად შეფასდა და აღინიშნა, რომ არსებული პრაქტიკა არასამართლიანია და არ შეესაბამება კარგი რეგულირების პრინციპებს. მოსაკრებლებთან ერთად პროექტის საწყის ეტაპზე მაღალი საგადასახადო



ტვირთი, დაძიებიდან მოპოვების უფლების მისაღებად არსებული ერთჯერადი გადასახადი, აფერხებს სამთო საძიებო პროექტების განხორციელების სტიმულებს. დამატებით უნდა აღინიშნოს, კვალიფიციური უნარების ნაკლებობა, რაც სექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

გამოწვევების მიუხედავად, დღესდღეობით არსებობს სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი. ადგილობრივმა და საერთაშორისო რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქვეყნის გეოლოგიური პროფილიდან გამომდინარე, შესაძლოა ქვეყანას მნიშვნელოვანი სასარგებლო წიაღისეულის პოტენციალი გააჩნდეს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი. საერთაშორისო ინვესტორებთან ძლიერი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც პოტენციური სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ქვეყნის, პოპულარიზაციასა და ახალი სამთო-საძიებო პროექტების განვითარებას. ასევე პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა სექტორის რეგულირების კუთხით, ადგილობრივი კომპანიები აღნიშნავენ, რომ სააგენტოს მუშაობა ბოლო პერიოდში გაუმჯობესდა და აღნიშნული ტრენდი უნდა შენარჩუნდეს.

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, რისკები და საფრთხეები კვლავ არსებობს სექტორის განვითარების პროცესში. საფრთხეებს შორის არის ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა და უპასუხისმგებლო კომპანიების საქმიანობით გამოწვეული გარემოსდაცვითი საფრთხეები. ასევე, საფრთხეს წარმოადგენს ლიცენზიებით სპეკულაციური ვაჭრობის პრაქტიკაც, რაც აფერხებს ახალი საბადოების განვითარების პროცესს.



5. რეკომენდაციები

აღნიშნულ თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციები. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებს აქვთ მსგავსი უპირატესობები და დამოკიდებულება კარგი რეგულირების პრაქტიკასთან მიმართებაში. რეკომენდაციები გამოყენებული იქნება სექტორში მიმზიდველი ბიზნეს გარემოს ჩამოსაყალიბებლად და ინვესტიციების მოსაზიდად.

საქართველოს ცნობადობის დონის ამაღლება საერთაშორისო ინვესტორებს შორის

წიაღის ეროვნულმა სააგენტომ უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს საერთაშორისო ინვესტორებთან კომუნიკაციის გრძელვადიანი სტრატეგია.

სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ერთობლივად უნდა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში, რათა მოახდინონ ქვეყნის წიაღის სექტორში არსებული პოტენციალის გაცნობა და ინვესტორებთან კავშირების დამყარება.

უნდა მოხდეს საქართველოს, როგორც პოტენციური სასარგებლო წიაღისეულის მარაგების მქონე ქვეყნის პოპულარიზაცია, მისი კონკურენტული უპირატესობების წარმოჩენა. საქართველოს გეოლოგიური პოტენციალი, დაბალი გადასახადები, გამარტივებული ბიზნეს პროცედურები და კორუფციის არ არსებობა უნიკალური შესაძლებლობას იძლევა პოტენციური ინვესტიციების მოსაზიდად.

მიმდინარე რეფორმების შესახებ ინფორმაცია აქტიურად უნდა გამოქვეყნდეს და ეფექტური კომუნიკაციის არხების საშუალებით გავრცელდეს პოტენციური ინვესტორებს შორის.

გეოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

გეოლოგიური ინფორმაცია უნდა იყოს ელექტრონულად მოცემული და მარტივად ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის.

ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ასევე უნდა მოხდეს მარტივი საძიებო სისტემის დანერგვა.



რუსულ ენაზე არსებული ანგარიშებისთვის, ერთგვერდიანი შემაჯამებელი ინფორმაცია უნდა იყოს მოცემული ქართულ და ინგლისურ ენებზე, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ იმის დადგენა, თუ რამდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს რეპორტი მათი მიზნებისთვის და მიიღონ გადაწყვეტილება შეიძინონ და თარგმნონ ანგარიში საკუთარი ხარჯით.

სასარგებლო წიაღისეულის მარაგები უნდა შეფასდეს საერთაშორისოდ მიღებული კლასიფიკაციის სტანდარტით (JORC, CRISCO).

უნდა მომზადდეს კადრები, რომლებიც შეძლებენ სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შეფასებას საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით

გამომდინარე იქიდან, რომ JORC კლასიფიკაცია მიღებულია როგორც უპირატესი სისტემა, უნდა შეიქმნას JORC-ის შეფასებაში გამოცდილი და კომპეტენტური კადრების ბაზა. გრძელვადიან პერიოდში გეოლოგიური მარაგები სრულად უნდა იყოს შეფასებული საერთაშორისოდ აღიარებული კლასიფიკაციის მიხედვით.



სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის მოსაკრებლის ბაზა და მოსაკრებლის განაკვეთები

წიაღით სარგებლობის მოსაკრებლის დარიცხვის არსებული სისტემა უნდა შეიცვალოს და მოსაკრებელი გაანგარიშებული იქნას ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის მოცულობის მიხედვით.

მეტალებისა და ენერგორესურსებისათვის მოსაკრებლის განაკვეთი შესაძლოა გაანგარიშებული იქნას რესურსის ფასიდან ან შემოსავლიდან დადგენილი პროცენტის მიხედვით.

რესურსები, რომლებიც ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე იყიდება და ფასის ხშირი ცვალებადობით არ ხასიათდება, შესაძლებელია დაიბეგროს მოპოვებული რესურსის ერთეულზე მოსაკრებლის ფიქსირებული განაკვეთით.

წყლის რესურსებისთვის უნდა განისაზღვროს მოსაკრებლის საერთო განაკვეთი, რათა უზრუნველყოფილი იქნას თანაბარი მიდგომა ყველა მხარისთვის

სამუშაო ძალის უნარები

კერძო და საჯარო სექტორის ერთობლივი თანამშრომლობით უნდა შემუშავდეს და დაინერგოს გრძელვადიანი სტრატეგია, სექტორში კვალიფიციური უნარების განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშესაწყობად.

ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების გარანტიების განსაზღვრა კანონით მიღებული პრაქტიკაა, თუმცა ფრთხილი მიდგომაა საჭიროა მინიმალური ქვოტის დაწესებისას, რადგან კვალიფიციური უნარების ნაკლებობის პირობებში შესაძლოა მსგავსი ვალდებულების დაწესება დამატებით ტვირთად იქცეს კერძო სექტორისთვის.

ადგილობრივი მოსახლეობის დაქირავების ვალდებულების ზომიერი ზღვარი უნდა იქნას დადგენილი. ასევე, უნდა შემუშავდეს საგადასახადო ინიციატივები, რათა კომპანიებს გაუჩნდეთ ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმების სტიმული და უარი თქვან უცხოეთიდან კადრების დაქირავებაზე.

ლიცენზიები და ნებართვები



ლიცენზიების გაცემის აუქციონი შესაძლებელია შეიცვალოს ელექტრონული ტენდერით. ლიცენზიების გაცემისას გადაწყვეტილება უნდა იქნას არა მხოლოდ შეთავაზებული ფასის, არამედ პრეტენდენტის კვალიფიკაციისა და წარსულში შესრულებული პროექტების გათვალისწინების საფუძველზე.

დაუძიებელი ტერიტორიებისთვის ლიცენზიების გაცემა უნდა მოხდეს „First Come First Served“ პრინციპის შესაბამისად“ პრინციპით, პრეტენდენტის კვალიფიკაციისა და რეპუტაციის გათვალისწინებით.

ლიცენზიის მიღების საწყისი ხარჯი უნდა შემცირდეს და ფისკალური ტვირთი უნდა მიებას პროექტის შემოსავლიანობის ციკლს.

დღევანდელი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული პირველადმომჩენის სტატუსი და მისი უფლებები. რეკომენდებული აღნიშნული სტატუსი განსაზღვრული იქნას ახალ კანონმდებლობაში.

პასუხისმგებლიან კომპანიებს, რომლებიც რეალურად სარგებლობენ ლიცენზიით, უნდა ჰქონდეთ საშუალება აუქციონში მონაწილეობის გარეშე ავტომატურად განაახლონ ლიცენზიის ვადა განსაზღვრული ფასის სანაცვლოდ.

მიწისა და სამთო მინაკუთვნის სტატუსი, სანიტარული ზონის დამტკიცების საკითხი უნდა იყოს მოგვარებული და დარეგულირებული კანონმდებლობით.

სააგენტოში უნდა დანერგოს „ერთი სარკმლის პრინციპით“ მომსახურება, რომლითაც მოხდება ლიცენზიებისა და სხვა ნებართვების გაცემა.

„Use or Loose (Use or Loose (გამოიყენე ან დაკარგეს)“ პრინციპი უნდა იქნას გამოყენებული ლიცენზიის პასიური ფლობისა და სპეკულაციური ვაჭრობის თავიდან ასაცილებლად. ამასთანავე, კომპანიებს უნდა ჰქონდეთ მინიმალური ინვესტიციებისა და სამუშაოების განხორციელების ვალდებულება რათა დაადასტურონ ლიცენზიით სარგებლობა.

კომპანიებს უნდა ჰქონდეთ თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების უფლება და შესაბამისად გადაიხადონ მოსაკრებელი გამოყენებული რესურსების რაოდენობის მიხედვით. აღნიშნული პრაქტიკა სასარგებლო წიაღისეულის ეფექტურ გამოყენებას შეუწყობს ხელს.



ეკონომიკურად უფრო ეფექტიანია, რომ კომპანიას ჟონდეს საბადოს დამუშავებისას მოპოვებული ყველა თანმდევი რესურსის გამოყენების უფლება. თუმცა საჭიროა შემუშავდეს მექანიზმი, რათა კომპანიებს არ ჟონდეთ მანიპულაციის საშუალება და შედარებით იაფად მიიღონ ლიცენზია ძვირადღირებული რესურსის დასამუშავებლად.

ლიცენზირების ხარჯი

დაძიებიდან მოპოვების ეტაპზე გადასვლის ერთჯერადი გადასახადის გაანგარიშება საკმაოდ რთულია, უფრო მარტივი მიდგომა უნდა შემუშავდეს ფასის განსაზღვრისათვის.

ერთჯერადი გადასახადის ნაცვლად შესაძლებელია შემოღებული იქნეს წლიური გადასახადი დამუშავებული ფართობის მიხედვით. დაუმუშავებელი ტერიტორიაზე კი კვლავ შესწავლის ლიცენზიის ფასი გავრცელდეს.

შესწავლის ლიცენზია გაცემული უნდა იქნას 5 წლის ვადით, შემდგომში ლიცენზიის ვადის გაგრძელების პერსპექტივით.

მინიმალური დანახარჯის მოთხოვნა სალიცენზიო ტერიტორიაზე და წლიური ანგარიშების წარდგენა გაწეული სამუშაოების შესახებ უნდა იყოს სავალდებულო, რათა თავიდან იქნას აცილებული ლიცენზიის პასიური ფლობისა და საბადოს გაჩერების რისკი.

შესწავლის ლიცენზიის პირობებში განსაზღვრული ვალდებულება მინიმალური გაწევის შესახებ უნდა იყოს მისაღები და არ უნდა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ფინანსური ტვირთი ორგანიზაციისთვის. თუმცა, ამავდროულად უნდა იყოს კარგი ინდიკატორი იმისა, რომ კომპანია რეალურად ახორციელებს საბადოს შესწავლის სამუშაოებს.

კომპანიებმა, რომლებიც ახორციელებენ საბადოს შესწავლის სამუშაოებს, წლიური ანგარიშები უნდა წარადგინონ სააგენტოსთან, რათა დაადასტურონ, რომ სამუშაოები რეალურად მიმდინარეობს და შესაბამისი ინვესტიციები ხორციელდება საბადოს განსავითარებლად.



ბიუროკრატია

სააგენტოში სერვისების მიწოდება უნდა განხორციელდეს „ერთი სარკმლის პრინციპით“. ამასთანავე, უნდა მოხდეს კადრების გადამზადება, რათა ეფექტურად უზრუნველყოფს ლიცენზიებისა და ნებართვების პაკეტის შეკვრა და გაცემა სტანდარტული პროცედურების მიხედვით.

საჭიროა მუდმივად განხორციელდეს სერვისების მიწოდების ეფექტურობის მონიტორინგი, რათა დროულად გამოვლინდეს ხარვეზები და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს შესაბამისი ზომების მიღება.

მნიშვნელოვანია კერძო სექტორის წარმომადგენლების გაერთიანება (ასოციაციის ჩამოყალიბება), რომელიც ხელს შეუწყობს ინდუსტრიის პოზიციების დაცვასა და მთავრობასთან კომუნიკაციას.

სააგენტოს უნდა ჰქონდეს ხშირი კომუნიკაცია სექტორის წარმომადგენლებთან, რათა კომპანიები მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი სექტორში მიმდინარე საკანონმდებლო და სხვა ტიპის ცვლილებების შესახებ.

დავები

მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს დავების გადაწყვეტის დამოუკიდებელი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სექტორში წარმოქმნილი დავების ეფექტურ და დროულ გადაწყვეტას.

უნდა მოხდეს საკადასტრო მონაცემთა ბაზისა და ლიცენზიების სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, რათა ლიცენზიის გაცემის პროცესში მარტივად გადამოწმდეს სალიცენზიო ტერიტორიაზე რეგისტრირებული საკუთრების უფლებების არსებობა.

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული ძირეული ხარჯები მთლიანად კერძო სექტორის პასუხისმგებლობაში უნდა იყოს.

საბაღოს მიმდებარედ საჭირო ძირითადი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, როგორცაა გზები, ელექტროენერჯია და წყალი უნდა იყოს ხელმისაწვდომი.



საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პროექტებზე შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარებაც ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.



6. შეჯამება

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებს აქვთ მსგავსი აღქმა სექტორის კარგი რეგულირების პრაქტიკასთან დაკავშირებით. თუმცა, საერთაშორისო კომპანიებისგან განსხვავებით, ადგილობრივ კომპანიებს არ უხსენებიათ ისეთი საკითხები, როგორცაა უსაფრთხოება, პოლიტიკური სტაბილურობა ან კორუფცია. აღნიშნული შესაძლებელია აიხსნას იმ ფაქტით, რომ ზემოთხსენებული საკითხები საქართველოში ნაკლებად პრობლემატურია.

საქართველოს აქვს სტაბილური, უსაფრთხო გარემო და ქვეყანაში არ არსებობს კორუფციის პრობლემა. აღნიშნული პირობების დაცვა მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინვესტორებისთვის და ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას. ამასთანავე, საერთაშორისო რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გეოლოგიური პროფილიდან გამომდინარე საქართველო საკმაოდ საინტერესო ქვეყანაა ახალი საბადოების კვლევისა და აღმოჩენისთვის.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს შესაძლებლობა, რომ მოხდეს საქართველოს პოპულარიზაცია, როგორც საინტერესო ადგილი ახალი საბადოების შესწავლის პროექტების განსახორციელებლად. ამ მიზნის მიღწევა, უნდა მოხდეს ძლიერი კომუნიკაციის კამპანიის მეშვეობით. პარალელურად, სექტორში უნდა მოხდეს რეფორმების გატარება რათა დაინერგოს ეფექტური რეგულირების სისტემა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

სექტორში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია სექტორის რეფორმირებისას გათვალისწინებული იქნას შემდეგი საკითხები:

- 1) კანონმდებლობით უნდა არსებობდეს გარანტია, რომ რესურსების აღმოჩენის შემთხვევაში აღმოჩენილი კომპანიას გადაეცემა რესურსების მოპოვებისა და დამუშავების უფლება.
- 2) საგადასახადო ტვირთი ოპტიმალურად უნდა განაწილდეს პროექტის სასიცოცხლო ციკლის თითოეულ ეტაპზე, საწყის ეტაპზე საგადასახადო ტვირთი უნდა იყოს მინიმალური და ეტაპობრივად იზრდებოდეს პროექტის შემოსავლიანობის ზრდასთან ერთად.
- 3) სექტორში უნდა ჩამოყალიბდეს გამჭვირვალე და სამართლიანი დაბეგვრის მექანიზმი, როგორც სახელმწიფო გადასახადების ასევე რესურსით სარგებლობის მოსაკრებლების შემთხვევაში.



დასკვნის სახით, სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს საქართველოს პოპულარიზაციაზე საერთაშორისო ინვესტორებს შორის და გეოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. ამავდროულად, კერძო და სახელმწიფო სექტორის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში ხელი უნდა შეეწყოს დარგში კვალიფიციური კადრების განვითარებას, რათა გაიზარდოს ადგილობრივი დასაქმების დონე და ხელი შეეწყოს წიაღის სექტორის განვითარების პროცესს.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

USAID Governing for Growth (G4G) in Georgia
Deloitte Consulting Overseas Projects LLC
Address: 5 L. Mikeladze St., 0162, Tbilisi